საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 28 იანვარი. 2022 წ. №16 (9354) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ექსკლუზივი

საქართველო და უკრაინა: მე-5 პუნქტის ზღუდე

③



ნატოს კართან რუსეთის შიშით ატუზულნი...

ეს ყველაფერი თალლით საქმოსანთა შეკრული წრეა!

სწორედ ფარმაცევტული კომპანიების მეპატრონეები არიან კლინიკების და სადაზღვევო კომპანიების მფლობელები, რომლებთანაც მუშაობენ ოჯახის ექიმები

ევროპაში სად არის ნატოს ძალები განლაგებული

⑧

კრემლს კი სანქციების არ ეშინია

რა (არ) წერია „ქართული ოცნების“ სარეზოლუციო პროექტში?!

მას შემდეგ, რაც ოპოზიცია და მმართველი გუნდი უკრაინის მხარდამჭერ სარეზოლუციო პროექტზე ვერ შეთანმხდნენ, ოპოზიცია ითხოვდა რა უფრო მკვეთრ ფორმულირებას, „ქართული ოცნების“ წევრმა მამუკა მდინარაძემ ჟურნალისტებს სადავო ტექსტის ძირითადი ნაწილი გააცნო, რომელშიც რუსეთი ნახსენები არ არის:

„საქართველოს პარლამენტი გამოხატავს ღრმა შეშფოთებას უკრაინაში შესაძლო სამხედრო ესკალაციის გამო და გმობს ყოველგვარ განზრახვას, რომელიც სუვერენული სახელმწიფოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ შეიძლება იყოს მიმართული, რაც ახალ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ უკრაინის, არამედ რეგიონულ მშვიდობას და უსაფრთხოებას. აცხადებს, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრება არის სახელმწიფოს სუვერენული უფლება და სამხედრო პოლიტიკური არგუმენტებით ამ უფლების შეზღუდვის ყოველგვარი ცდილობა კატეგორიულად მიუღებელია. მიიჩნევს, რომ უკრაინაში ომის არდაშვება უნდა იყოს საერთაშორისო თანამეგობრობის უმთავრესი საზრუნავი, სოლიდარობას უცხადებს მეგობარ უკრაინელ ხალხს, რომელსაც ყოველგვარი შესაძლო სამხედრო ესკალაციით მძიმე ზიანი შეიძლება მიადგეს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას დიპლომატიური ინსტრუმენტების გამოყენებით და სტრატეგიულ პარტნიორებთან მჭიდრო კოორდინაციით განაგრძოს თავისი წვლილის შეტანა უკრაინაში ომის არდაშვებაში“.

* * *

რედაქციისგან: ეს ის შემთხვევაა, როცა ოპოზიციის შენიშვნა, რომ რეზოლუციაში რუსეთი როგორც აგრესორი, ნახსენები არ არის, და ზოგადი ფრაზა „საქართველოს პარლამენტი გამოხატავს ღრმა შეშფოთებას უკრაინაში შესაძლო ესკალაციის გამო“, ვერ ასახავს უკრაინაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას. ვერც მამუკა მდინარაძის განცხადებაა დამაჯერებელი, რომ „ყველა ფრაზა გამომდინარეობს საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან და დაცლილია პროვოკაციული რიტორიკისგან“. ნამდვილად გასაკვირია, რატომ იქნებოდა რეზოლუციაში რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ხაზგასმა „პროვოკაციული რიტორიკა?! ერთი სიტყვით, ამ რეზოლუციამ სამართლიანი აყაყანების საფუძველი მისცა ისედაც საბაბ-მიზეზების მაძებარ ავად ჩასაფრებულ ოპოზიციას, ასეთი რეზოლუციის მიღებას სულ მიუღებლობა აჯობებს. ეს აშკარად მხოლოდ მოვალეობის მოხდაა...

„მამაჩემის კალაპოტიდან ამოგდება შეუძლებელი იყო“

„წყნარი დონის“ ავტორის უმცროსი ვაჟის ბოლო ინტერვიუ



ეს ინტერვიუ ჩემმა მოსკოველმა მეგობარმა ალექსეი კოჩეტოვმა გადმომიგზავნა. თან ბარათიც მოაყოლა: „რადგან ვიცი საქართველოს გულთბილი დამოკიდებულება ჩვენს ნობელის ლაურეატ მიხეილ შოლოხოვთან, ურიგო არ იქნება, თუ „წყნარი დონის“, „ვატეხილი ყამირისა“ და „ბედი კაცისა“-ს ქართველი მკითხველი ბევრად მეტს შეიტყობს ამ დიდ შემოქმედზე, რომელიც წინა საუკუნის სამოციან წლებში ორჯერ ესტუმრა თქვენს ქვეყანას. მამის სეხნია მიხეილი იმდენ და ბევრ ისეთ რასმე იგონებს თავის მამაზე, რამდენიც და რაც მხოლოდ ოჯახის წევრს შეეძლო, რომ მოეგონებინა. ისიც ვიცი, რომ ვასილ მუავანაძესთან ერთად თქვენი გაზეთიც იყო მწერლის მასპინძელი... მამის სეხნია მიხეილს 2013 წელს, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, ვესტუმრე სტანიცა ვეშინსკაიაში, სადაც ის, უკვე 79 წლისა, მიხეილ შოლოხოვის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის მთავარ კონსულტანტად მუშაობდა 1999 წლიდან, მანამ ის სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დაუსწრებელი განათლების მოსკოვის იურიდიული ფილიალის როსტოვის ფაკულტეტის უფროსი და მ. შოლოხოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი იყო, როგორც ფილოსოფოსი. 2004 წელს მამაზე დაწერილი მოგონებები – ნარკვევებისთვის დაჯილდოვდა მამის მიხეილ შოლოხოვის სახელობის საერთაშორისო პრემიით. ინტერვიუს ახლახან ჩემს არქივში მივაგენი“.

დღეს მკითხველს ვთავაზობთ ალექსეი კოჩეტოვის შემოთავაზებულ ინტერვიუს მწერლის შვილთან.

იხ. 6-7 გვ.

პრეზიდენტი: ჰოლოკოსტის სისასტიკემ ბევრი რამ გვასწავლა!

27 იანვარი ჰოლოკოსტის, ცივილიზებული სამყაროს არსებობის მანძილზე კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი უდიდესი სისასტიკის ხსენების საერთაშორისო დღეა, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სოციალურ ქსელში წერს.

„ამ ენით გამოუთქმელი ტრაგედიის მილიონობით უდანაშაულო მსხვერპლის მარადიული ხსოვნა არის ყოველი ჩვენგანის მორალური ვალდებულება.

ჰოლოკოსტის სისასტიკემ გვასწავლა, რომ თითოეული ადამიანის სიცოცხლის, ღირსებისა და უფლებების დაცვა და პატივისცემა უნდა ვაქციოთ კაცობრიობის განვითარების უმთავრეს მამოძრავებელ ძალად“, — წერს პრეზიდენტი.

ნებით ამ კეთილი ჟესტისთვის და მე პირადად ვარ მადლობელი. მამაჩემი, ჰოლოკოსტს გადარჩენილი, რომელიც 93 წლისაა, ახლახან სტუმრობდა თბილისს და მას, რა თქმა უნდა, უყვარს საქართველო. ასე რომ, როგორც პირადად, ასევე დიპლომატიურ დონეზე, ჩვენ მადლობელი ვართ ამ ამაღელვებელი ცერემონიის გამო... — განაცხადა რან გიდორმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: ჰოლოკოსტის მსგავსი ბოროტება აღარასდროს განმეორდება!

დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ტრაგედიის, ჰოლოკოსტის მსხვერპლი მილიონობით ადამიანის ნათელ ხსოვნას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაშია ნათქვამი.

მთავრობის მეთაურის აზრით, ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნა ყველა ერსა და ხელისუფლებას ავალდებულებს მშვიდობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო თანამეგობრობის, ისეთი მსოფლიოს შენებას, სადაც მსგავსი ბოროტება აღარასდროს განმეორდება.

„ჩვენ არასდროს დავივიწყებთ ჰოლოკოსტის გაკვეთილს, რომელიც ხმამაღლა მოგვიწოდებს, რომ აღარასდროს დავუშვათ სიძულვილზე, შეუწყნარებლობაზე, საკუთარი უპირატესობის რწმენაზე დაფუძნებული პოლიტიკა“, — აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის განცხადებაში.

რან გიდორი: გმადლობთ!

საქართველოში ისრაელის ელჩი რან გიდორი მოხარულია, რომ საქართველოს პარლამენტმა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსენების ცერემონიას უმასპინძლა.

გასულ წელს საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ჰოლოკოსტის ხსენების საერთაშორისო დღე მიეღო საქართველოს ღონისძიებათა ოფიციალურ კალენდარში და დღეს პირველად, საქართველოს პარლამენტმა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსენების ცერემონიას უმასპინძლა. ჩვენ ძალიან დიდ მადლობას ვეუბნებით ამ კეთილი ჟესტისთვის და მე პირადად ვარ მადლობელი. მამაჩემი, ჰოლოკოსტს გადარჩენილი, რომელიც 93 წლისაა, ახლახან სტუმრობდა თბილისს და მას, რა თქმა უნდა, უყვარს საქართველო. ასე რომ, როგორც პირადად, ასევე დიპლომატიურ დონეზე, ჩვენ მადლობელი ვართ ამ ამაღელვებელი ცერემონიის გამო... — განაცხადა რან გიდორმა.

სალომე ზურაბიშვილი შვეიცარიული ინვესტიციით დაინტერესდა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი შვეიცარიული კომპანიის, Stadler Rail-ის აღმასრულებელ დირექტორს პიტერ სპულერს შეხვდა.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, სუბარი შეეხო კომპანია Stalder Rail-ის საინვესტიციო გეგმებს საქართველოში, სარკინიგზო მატარებლების მოდერნიზაციისა და ადგილობრივი წარმოების საკითხებს.

„შეხვედრისას კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა, პიტერ სპულერმა ისაუბრა მატარებლებისა და საჭირო ნაწილების ადგილობრივი ასაწყობი ხაზის შექმნის შესაძლებლობაზე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მატარებლების პარკის მოდერნიზებას, სარკინიგზო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და ადგილობრივი სპეციალისტების დასაქმებას.

პრეზიდენტი მიესალმა საქართველოს მიმართ გამოცდილი კომპანიის ინტერესს და აღნიშნა, რომ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იქნას გაწეული, რათა მოვიზიდოთ მეტი უცხოური ინვესტიცია, მათ შორის ევროპული ბაზრებიდან“, — აღნიშნულია პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციაში. კომპანია Stalder Rail-ი 80-წლიანი გამოცდილების მქონე უმსხვილესი შვეიცარიული კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა ტიპის სამგზავრო და სატვირთო მატარებლებს აწარმოებს.

პრემიერი მადლიერების გრძნობით ულოცავს...

მადლიერების გრძნობით ვულოცავ დაჭრილ-დაშავებულ სამხედროთა დღეს ჩვენს გმირ მებრძოლებს და მშვიდობას, კეთილდღეობასა და წარმატებებს ვუსურვებ მათ და მათ ოჯახებს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაშია ნათქვამი.

მთავრობის მეთაურის თქმით, მისი თავდაცვის მინისტრობისას ამ ახალი ტრადიციის დამკვიდრებით სურდა, სათანადო პატივისცემა გამოეხატა სამხედრო მოსამსახურეებისადმი, რომლებიც თავდადებით ემსახურებიან საქართველოს.

„წელს მეორედ აღვნიშნავთ დაჭრილ-დაშავებულ სამხედროთა დღეს. ჩემი თავდაცვის მინისტრობისას ამ ახალი ტრადიციის დამკვიდრებით მსურდა, სათანადო პატივისცემა გამოგვეხატა ჩვენი სამხედრო მოსამსახურეებისადმი, რომლებიც თავდადებით ემსახურებიან საქართველოს, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად იცავენ თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებასა თუ გლობალურ მშვიდობას.

ჩვენი ხელისუფლების უპირველეს მოვალეობად მივიჩნევთ ზრუნვას იმ სამხედროებსა და მათ ოჯახებზე, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ ქართულ მხედრულ ტრადიციებს და მისაბაძ მაგალითს წარმოადგენენ მომავალი თაობებისათვის. მთელი საზოგადოების სახელით, მადლიერების გრძნობით ვულოცავ ამ დღეს ჩვენს გმირ მებრძოლებს და მშვიდობას, კეთილდღეობასა და წარმატებებს ვუსურვებ მათ და მათ ოჯახებს“.

კელი დეგნანი: ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან ხელი მოვაწერეთ მნიშვნელოვან მემორანდუმს

საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებს საბაჟოს საერთაშორისო დღე მიულოცა. ელჩის თქმით, მისთვის დიდი პატივი იყო, რომ დღევანდელ ღონისძიებას დაესწრო.

„საბაჟოს საერთაშორისო დღისადმი გამართული ღონისძიება ასევე აღნიშნავს ჩვენს დიდწლიან თანამშრომლობას საქართველოს საბაჟოს ადმინისტრაციასთან. დღეს იყო კარგი შესაძლებლობა, რათა დავაფასოთ მებაჟე ოფიცრები და მათი შრომა. ისინი მართლაც ძალიან ბევრს აკეთებენ. გარდა იმისა, რომ უზრუნველყოფენ კანონიერი საქონლის, პროდუქციის შემოტანას ქვეყანაში, ისინი თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობენ ქვეყნის უსაფრთხოებას. დღეს სწორედ კარგი შანსი იყო ამ ყველაფრის დაფასების“, — განაცხადა კელი დეგნანმა. ამასთან, როგორც დეგნანმა აღნიშნა, ღონისძიების ფარგლებში, აშშ-სა და შემოსავლების სამსახურს შორის, შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიური პლატფორმის მოდერნიზაციის მიზნით, ხელი მოეწერა თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს.

„დღეს ხელი მოვაწერეთ ძალიან მნიშვნელოვან მემორანდუმს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან, რომელიც გულისხმობს შემოსავლების სამსახურში საინფორმაციო სისტემის მოდერნიზებას, რაც ხელს შეუწყობს მთლიანად ამ სამსახურის უფრო ეფექტურად მუშაობას და ეს არის კიდევ ერთი დასტური საქართველოსთან ჩვენი მრავალწლიანი და ხანგრძლივი თანამშობლობის“, — განაცხადა კელი დეგნანმა.



იენს სტოლტენბერგი: რუსეთმა თავისი ძალები უნდა გაიყვანოს უკრაინიდან, საქართველოდან და მოლდოვადან

ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის კრიტიკული მომენტის წინაშე ვდგავართ, უკრაინაში და მის გარშემო რუსეთის სამხედრო აქტიურობა გრძელდება.

„რუსეთს დაუყოვნებლივი დეესკალაციისკენ მოვუწოდებთ. ნატოს მტკიცედ სჯერა, რომ დაძაბულობა დიალოგისა და დიპლომატიის გზით უნდა მოგვარდეს. **დღეს ნატომ რუსეთს ჩვენი წერილობითი წინადადებები გადასცა“,** — აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალური მდივნის თქმით, ნატო არ წავა კომპრომისზე თითოეული ქვეყნის უფლებაზე, თავად აირჩიოს თავისი ალიანსები.

„რუსეთმა თავი უნდა შეიკავოს აგრესიული რიტორიკისა და მავნე საქმიანობისგან, რომელიც ნატოს მოკავშირეებსა და სხვა ქვეყნებზეა მიმართული. რუსეთმა თავისი ძალები უნდა გაიყვანოს უკრაინიდან, საქართველოდან და მოლდოვადან, სადაც მისი ძალები აღნიშნული ქვეყნების თანხმობის გარეშე არიან განლაგებულნი“.

* * *

17 დეკემბერს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ-სა და ნატოს უსაფრთხოების გარანტიებთან დაკავშირებით მოთხოვნები წარუდგინა.

ოფიციალური მოსკოვი აშშ-სა და ნატოსგან ითხოვს:

ბოლო ხანებში მოვლენები ისე ვითარდება, სავსებით ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ რუსეთი უკრაინაში გლობალური სამხედრო მოქმედებებისთვის თუ არა, რაღაც მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად მაინც ემზადება. აშშ და ნატო კი, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინას გარკვეულ შეიარაღებას აწვდიან და სამხედრო ინსტრუქტორებსაც უგზავნიან, დაუფარავად აცხადებენ, რომ ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში გაწევრებისთვის ის ჯერჯერობით მზად არ არის, ვინაიდან ამ მიზნის მისაღწევად მას კიდევ საკმაო გზა აქვს გასავლელი, – იგულისხმება ქვეყნის შიგნით გასატარებელი დემოკრატიული და სამართლებრივი რეფორმები.

დასამალი არაა, რომ უკრაინის მსგავსად, საქართველოც ოკუპანტი რუსეთის პირისპირაა დარჩენილი, აბაშიძე-კარასინის ფორმატის მოლაპარაკებები სრული დეკორაციაა, პუტინთან პირდაპირ დალაპარაკება კი ჯერჯერობით არავის სურს!

არადა, რამდენად რეალურია ურუსეთოდ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ათიათასობით ლტოლვილის პრობლემების გადაჭრა და რის იმედი შეიძლება გვქონდეს, როცა დაუფარავი საფრთხის წინაშე მყოფი უკრაინისთვისაც კი ნატოს კარი დაგმანულია? როგორია მოვლენათა განვითარების სცენარი ახლო მომავლისთვის? – ამ კითხვებით მივმართეთ ცნობილ პოლიტოლოგსა და ფსიქოლოგს რამაზ საყმარელიძეს.

საქართველო და უკრაინა: მე-5 პუნქტის ზღუდე

ნატოს კართან რუსეთის შიშით ატუზულნი...



– თქვენს მიერ წამოწეული თემა, თავისთავად უაღრესად მრავალწახნაგოვანია **და უამრავ ასპექტს მოიცავს. დავიწყოთ იმით, თუ რას შეიძლება მოველოდეთ უახლოეს მომავალში რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებში. სიმართლე გითხრათ, რუსეთის ჯარების კონცენტრაცია უკრაინის საზღვართან იმდენად დემონსტრაციული იყო, რომ ნამდვილად გაუგებარია, თუ რა შეიძლება უნდოდეს კონკრეტულად რუსეთს უკრაინისგან.** ამ ეტაპზე, პირადად მე არ მჯერა იმ ვერსიისა, რომ რუსეთი მის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციას გეგმავს. უფრო მართებულად მიმაჩნია ვიფიქროთ, რომ ამჟამად რუსეთი ყველაზე უფრო ახლოა ყველა იმ მიზანთან, რაც თავიდანვე ჰქონდა დასახული. საქმე ისაა, რომ **დასავლეთის წამყვან ქვეყნებს მძაფრი რეაქცია ჰქონდათ რუსეთის მიერ ძალის დემონსტრირებაზე. ამდენად სურვილი გაუჩნდა, რათა მთელი რიგი საკამათო საკითხი პირდაპირი მოლაპარაკების გზით გადაჭრილიყო.** ამდენად, ჩემი აზრით, მეტად უპრიანი და ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ რუსეთმა ამ მანევრით დასავლეთი აიძულა მოესმინა მისი პრეტენზიები და, ამავდროულად, საკუთარ კონტრპრეტენზიებს შემატა წონა, რათა ნატომ აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოება შეწყვიტოს. **მართალია, ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს წამყვანი წევრები კი აცხადებენ, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოება-არგაფართოება რუსეთის საქმე არ არის, მაგრამ, მეორე მხრივ, ამავდროულად უკრაინასაც და საქართველოსაც გვეუბნებიან, ნატოს წევრობა თქვენთვის ჯერჯერობით ნაადრევიაო.** ამდენად, ამ მანევრით, რუსეთმა შეიძლება შეძლოს და ნულზე დაიყვანოს ნატოს აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოების იდეა. **ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა სავარაუდო ვითარებასთან, თითქოს ნატომ შესაძლოა ხელი აიღოს აღმოსავლეთისკენ განვითარებაზე, არამედ უკვე გადაწყვეტილ ვარიანტთან, რომ რუსეთის ინტერესების უგულებელყოფით ალიანსის გაფართოება არ მოხდება.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთს მოეკიდებიან სათანადო პატივისცემით, რის მიმართაც ის მეტად მგრძნობიარეა. ჰოდა, ამ ფონზე, ბუნებრივია, უკრაინის საკითხი კია წამოწეული წინა პლანზე, მაგრამ, ამავდროულად, იგულისხმება საქართველოს თემაც. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ **თუკი დასავლეთი და რუსეთი უკრაინასთან დაკავშირებით შეთანხმდებიან – ვგულისხმობ იმას, რომ ნატომ კი იძახოს, გავფართოვდებით ისე, რომ არავის ვკითხავთ, რეალურად კი ეს არ მოხდეს – მაშინ რუსეთი დაკმაყოფილებული იქნება, ოღონდ ამ შემთხვევაში უკრაინისა და საქართველოს ინტერესები, როგორც ჩანს, სადღაც შუაგზაზე გაჩერდება.**

– ამ შემთხვევაში საქართველომ რა უნდა ქნას?

– საქართველოს ნატოს ზღურბლზე რომ გადაებიჯა კიდეც, ჩემი აზრით, მაშინაც ჩვენი სამოქმედო პერსპექტივა ბუნდოვანი იქნებოდა. საქმე ისაა, რომ უკრაინაც და საქართველოც – ორივე მოქმედი კონფლიქტების ქვეყანაა, არადა ნატოს დებულებაში გასაგებად წერია, რომ კონფლიქტების მქონე ქვეყნებს ბლოკში ვერ გააწევრებენ, რათა თავიდან აიცილონ დებულების მე-5 პუნქტის ამოქმედება, რომელიც ნატოს წევრი ქვეყნისთვის სამხედრო დახმარების გაწევას, ანუ კონფლიქტში ჩაბმას გულისხმობს. ამასთან, ცნობილია, რომ ჩვენ რამდენჯერმე შემოგვთავაზეს კიდეც: თუკი ნატოს წევრობის სურვილი გაქვთ, კონფლიქტური ტერიტორიების გარეშე, კი ბატონოო, რის თაობაზე დისკუსიასაც კი თავი ავარიდეთ.

ჩვენი და ნატოს ურთიერთობა ისევე, როგორც უკრაინისა და ალიანსისა, საკმაოდ რთულია და არ გულისხმობს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის დებულების უკვე ნახსენები მე-5 პუნქტის ამოქმედებას, რომლის გამო ამ ორგანიზაციაში მიისწრაფვის რუსეთისგან როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა პერიოდებში დაჩაგრული ყველა ქვეყანა. ამის გაკეთებას ორგანიზაცია, ბუნებრივია, მაქსიმალურად ერიდება. ამასთან, ჩვენ არ ვიცით, მე-5 პუნქტის ამოქმედების რა პირობა შეიძლება შემოგვთავაზოს ნატომ, თუკი საქმე საქართველოს ალიანსში გაწევრებაზე რეალურად მიდგება.

იმის პერსპექტივები, რომ ჩვენი და უკრაინის პრობლემები გადაწყდება ნატოში შესვლით, მარტივად და მკაფიოდ გამოკვეთილი ნამდვილად არ არის. **მოლოდინი, რომ თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, ის ავტომატურად ომს დაიწყებს რუსეთთან მე-5 პუნქტის ძალით, ვფიქრობ, ძალიან ნაკლებად უნდა გვქონდეს – ალიანსი ყველანაირად ეცდება თავი აარიდოს მესამე მსოფლიო ომის დაწყებას,** ხოლო რუსეთთან ნატოს ღია სამხედრო შეჯახება ამ მასშტაბის კატასტროფას რომ გამოიწვევს, ეს, დარწმუნებული ვარ, არანაირ დამატებით განმარტებას არ საჭიროებს.

– ასეთ ვითარებაში, თქვენი აზრით, საქართველოს რა სამომავლო პერსპექტივები აქვს?

– ჩემი აზრით, ყველაზე მეტად რეალისტური პერსპექტივა ისაა, რომ ასეთ ვითარებაში იკვეთება ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესი შავი ზღვის აკვატორიისა და კერძოდ, საქართველოს მიმართ. ყირიმის ნახევარკუნძულის რუსეთთან მიერთების შემდეგ, უფრო სწორად კი მას მერე, რაც რუსეთი აკონტროლებს ყირიმს, მისი გავლენა აღნიშნულ არეალში მნიშვნელოვნად გაიზარდა. გარდა ამისა, მისი პოზიციები მეტად გაძლიერდა სომხეთსა და ახლა უკვე აზერბაიჯანშიც, რაც ყარაბაღში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შედეგია. ყოველივე ეს დასავლეთის მარცხად აღიქმება, ამდენად მის ერთადერთ მოკავშირედ სამხრეთ კავკასიაში საქართველო რჩება. **აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ დასავლეთს ინტერესი უჩნდება, გააკონტროლოს სამხრეთ კავკასია და შავი ზღვის რეგიონი თუნდაც რუსეთთან ერთად, მაგრამ აქ მთავარი ინტერესის მატარებელი დასავლეთის მხრიდან არის არა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, არამედ ამერიკის შეერთებული შტატები.**

არაა გამორიცხული, რომ თუკი აშშ-სთვის ნატოს ინსტრუმენტი ეფექტიანობას დაკარგავს, რომელშიც გაწევრება უკრაინისა და საქართველოსთვის ზოგადად დასავლეთთან დაახლოების საშუალებაა, მას რაიმე სხვა გზების გამოძებნა მოუწევს და, უნდა ითქვას, რომ საამისო საშუალებები არსებობს კიდეც. ესაა დასავლეთის უშუალო სამხედრო პარტნიორობა ამა თუ იმ ქვეყანასთან, ყოველგვარი ბლოკების გვერდის ავლით. ამის ანალოგიები კარგადაა ცნობილი. მაგალითად, ისრაელი, რომელიც არ არის ნატოს წევრი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი დაცულობა ნამდვილად უზრუნველყოფილია, რის განმსაზღვრავი სწორედ ის გარემოებაა, რომ ეს ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორთა პირველ რიგებშია. **ასე რომ, დასავლეთისა და საქართველოს ურთიერთობების სპექტრი შეიძლება გაიშალოს ამ მიმართულებით.** ამდენად, აშშ-თან თუ რომელიმე სხვა ქვეყანასთან, რომელიც რუსეთს ყოველგვარი შიშის გარეშე უყურებს, ვთქვათ, დიდი ბრიტანეთთან თუ კანადასთან, რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი შეუპოვრობა, სამხედრო ურთიერთობა საქართველოსთვის უკვე იქნება სირთულეებისგან თავის დაცვის გარანტია.

ამასთან, ერთგვარი დასკვნის სახით უნდა ვთქვა, რომ ჩემი აზრით, არც უკრაინისთვის, არც საქართველოსთვის რაიმე დამატებითი სირთულეების შექმნა რუსეთის მხრიდან ნაკლებად სავარაუდოდ მიმაჩნია.

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე

- **გამოირიცხოს ნატოს შემდგომი გაფართოება და უკრაინის ალიანსში გაწევრება;**
- **არ განთავსდეს დამატებითი ჯარები და იარაღი იმ ქვეყნების გარეთ, სადაც ისინი 1997 წლის მაისის მდგომარეობით იმყოფებოდნენ;**
- **უარი ითქვას ნატოს სამხედრო აქტივობებზე უკრაინაში, აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში;**
- **არ განთავსდეს საშუალო და მოკლე რადიუსის რაკეტები იქ, სადაც მათ შეუძლიათ მეორე მხარის ტერიტორიაზე დარტყმის განხორციელება;**
- **არ ჩატარდეს წვრთნები ერთზე მეტ სამხედრო ბრიგადასთან შეთანხმებულ სასაზღვრო ზონაში და რეგულარულად მოხდეს ინფორმაციის გაცვლა სამხედრო წვრთნების შესახებ;**
- **დადასტურდეს, რომ მხარეები ერთმანეთს არ მიიჩნევენ მოწინააღმდეგეებად და შეთანხმდნენ, რომ ყველა დავა მშვიდობიანი გზით გადაწყდება და თავი შეიკავონ ძალის გამოყენებისგან;**
- **ვალდებულება, რომ არ შეიქმნება ისეთი პირობები, რომელიც მეორე მხარის მიერ საფრთხედ შეიძლება აღიქმებოდეს;**
- **ცხელი ხაზების შექმნა საგანგებო კონტაქტებისთვის.**

მესამე ძალა და არა, „აბსურდული“ ეროვნული ძალა

ხშირად გაგვიგონია, რომ ქართველებს აღარ გვყავს ჭეშმარიტი ეროვნული ძალა, რომელიც ქვეყნის პრობლემებზე იქნება ორიენტირებული და არა – საკუთარ კეთილდღეობაზე. ამავდროულად, ისიც ფაქტია, რომ ეროვნულ ძალაზე საუბარი დიდი ხიფათის შემცველია, რადგან ხშირად ეროვნულობას, პატრიოტიზმს ცრუ ძალები ამოეფარებიან ხოლმე და კარგად მანიპულირებენ ამაღლებული იდეალებით. ამიტომ ეროვნულ ძალაზე საუბარი აბსურდად მიაჩნია ექსპერტთა ნაწილს, ისინი ფიქრობენ, რომ ეროვნული ძალა კი არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, არამედ – მესამე ძალა.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, ანალიტიკოსი **პაატა ზაქარეიშვილი** მიიჩნევს, რომ ეროვნული ძალა ძალიან აბსურდული ცნებაა. ამდენად, საინტერესოა, რას ნიშნავს ეროვნული ძალა? ნუთუ უბრალო მოქალაქეები არ ვართ ეროვნული ძალები?

„არის სახელმწიფო და არის სახელმწიფო ინსტიტუტები, სტრუქტურები, ეროვნული ძალა არის ხალხის ნება, ხალხის ენერგია. კონსტიტუცია ეფუძნება ხალხის ნებას. ხალხმა არჩევნებზე ორჯერ ზედიზედ თქვა, მე უღირსი „ქართული ოცნება“ მირჩევნია უღირს „ნაციონალურ მოძრაობას“, არ მომწონს „ქართული ოცნება“, მაგრამ „ნაცმოძრაობა“ უფრო მეტად არ მომწონს. სხვა არჩევანს ვერ ვხედავ. ხალხის ნების ერთადერთი გამომხატველი არჩევნებში მონაწილეობაა. იყიდეს, გაყიდეს, მოისყიდეს – მნიშვნელობა არ აქვს. თუ ამომრჩეველთან ღამით მივიდა „ნაცმოძრაობის“ ან „ქართული ოცნების“ კოორდინატორი და 50 ლარი მისცა ხმის საფასურად, ეს ნიშნავს, რომ ამომრჩეველი თავის ხმას ყიდის და ხმის გაყიდვა მისი ნებაა. რაც შეეხება მესამე ძალას, ასეთ ძალად ქართულ პოლიტიკაში თავდაპირველად გიორგი გახარია შემოგრიალდა. როგორც კი გამოჩნდა გახარია, პირველ დღესვე ვთქვი, 9%-ს აიღებს-მეთქი და აიღო კიდეც 9%. ასეთი სიზუსტით არაფერი მითქვამს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ყალიბდება, უნდა ჩამოყალიბდეს“, – აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

მისივე შეფასებით, თუკი გიორგი გახარია არ გაითხვრება არც „ქართულ ოცნებასთან“, არც „ნაცმოძრაობასთან“, ცხადია, ორივე დააბრალებს მას რაღაცებს, მაგრამ მთავარი ეს არაა, ვინ რას დააბრალებს, მთავარია, ხალხმა დაინახოს, რომ გახარია არ ჭუჭყიანდება არც „ქართულ ოცნებასთან“, არც „ნაცმოძრაობასთან“ კავშირით. თუ სუფთად დარჩენას მოახერხებს, შემდეგი არჩევნებისთვის მეტად წარმატებული იქნება.

პაატა ზაქარეიშვილის აზრით, ამასობაში შეიძლება კალაძემაც გაარკვიოს ურთიერთობები „ქართული ოცნების“ ბირთვთან. ეს კი იმას მოასწავებს, რომ საქართველოს პოლიტიკური მომავალი ერთობ საგულისყურო იქნება. თუ გახარიამ და კალაძემ საერთო ენა იპოვეს, ერთმანეთს არ დაუპირისპირდნენ, მათ აქვთ რესურსი, მესამე ძალა შექმნან. ასევე მოხდა წლების წინ, როცა სააკაშვილი, ბურჯანაძე და ჟვანია წამოვიდნენ „მოქალაქეთა კავშირიდან“ და ახალი ძალა შექმნეს.

„ასეთივე შანსი აქვს დღეს კალაძეს და გახარიას, თუკი ისინი ერთად იპოვიან საერთოს და ვიღაცებს შემოიკრებენ გარშემო. რატომღაც, მარტო სააკაშვილს ახსენებენ, არადა, ერთობა იყო, სააკაშვილი მერე ამოიზარდა ჟვანიასგან, თორემ შევარდნაძის დროს სამნი იყვნენ. კალაძისგან განსხვავებით, კობახიძე არაპოპულარული მოვიდა, კობახიძეები, მდინარაძეები, ესენი პოლიტიკოსები არ ყოფილან. მათ არ უბრძოლიათ არასდროს, საერთოდ, პაპუაშვილი 2020 წელს გახდა პარლამენტის წევრი, არავინ არ იცნობდა, ოპოზიციაშიც კი არ ყოფილა რეალურად. ამიტომ ისინი ვერ იქნებიან პოპულარულები, მათ არ უბრძოლიათ პატიოსან თუ არაპატიოსან ბრძოლაში ხელისუფლებისთვის. ისინი დასვეს. მათ ფონზე კალაძე ნამდვილად იბრძოდა, გახარიაც ხმაურითა და სკანდალით წავიდა. თუ „ნაცმოძრაობა“ ამბობს, რა ვერ აპატიეთ ასეთი სააკაშვილს 9 წლის განმავლობაშიო, მაშინ ასევე შეიძლება ითქვას გახარიაზეც, გავრილოვის ღამე მართლაც სამარცხვინო ლაქაა მის ცხოვრებაში, მაგრამ ამაზე დიდი ცოდვები ჩადენილი აქვს ყველა წინამორბედ ხელისუფალს, მათ შორის, „ნაცმოძრაობასაც“ და „მოქალაქეთა კავშირსაც“. თუ ხალხს მოუწოდებ, აპატიონ სააკაშვილს სხვების თვალების დათხრა (სხვათა შორის, სააკაშვილიც თხრიდა თვალებს) და მკვლელობები, მაშინ რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ სხვებსაც რაღაცები აპატიონ?!“, პაატა ზაქარეიშვილის თვალთახედვით კალაძე მაინც ჩამოყალიბებული პოლიტიკოსია, ხალხის მიერ ორჯერ ზედიზედ არჩეული მერია, მებრძოლია „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ 2012 წელს, ამდენად, საკითხავია, კალაძე რატომ უნდა დაემორჩილოს კობახიძეს?

„ღარიბაშვილი ემორჩილება კობახიძეს, კალაძე კი, მე მგონი, „მოგუდულად“ ემორჩილება და არა ხალისით. ამიტომ საქართველოში შიდა ცვლილებები მოსალოდნელია, ალბათ, უფრო 2023 წლის ბოლოსთვის, როცა დაიწყება ახალი წინასაარჩევნო პერიოდი 2024 წლისთვის. 2022 და 2023 წელი საქართველოსთვის „მკვდარი“ წელიწადი იქნება დღევანდელი გადასახედიდან, თუ სერიოზული შეცდომა არ დაუშვა „ქართულმა ოცნებამ“...

* * *

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** მიიჩნევს, რომ ეროვნულ ძალაზე საუბარი არის ნატვრა იმისა, ბაზალეთის ტბის ძირში რაც დგას. ცხადია, ეროვნული ძალა უნდა დავინახოთ იმ ძალებში, ვინც დღეს პოლიტიკურ არენაზეა. უფრო მეტიც, ყველა პოლიტიკურმა აქტორმა, ვინც მონაწილეობს ქართული პოლიტიკის შექმნაში, ეს ძალა საკუთარ თავში უნდა იპოვოს, თუკი ჩვენ გვინდა გადარჩენა და განვითარება.

„ნაცები“ ვერასდროს გახდებიან ეროვნული ძალა, ეს გამორიცხულია, იმდენად დისკრედიტირებულნი არიან. მათ გამოსავლის პოვნა ძალიან გაუჭირდებათ. ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მარტო ოპოზიცია არ გვყავს, არამედ წამყვანი, დომინანტი პოლიტიკური ძალა და პოლიტიკის განმსაზღვრელი არის „ქართული ოცნება“. ვისაც შეუძლია, ეჭიდავოს მას, დემოკრატიის წესი ეს არის. გახარიასაც შეუძლია გადალახოს ის კრიზისი, რაც მან საკუთარ თავს შეუქმნა, თუკი „ნაცებს“ არ გაეკარება. ასევე, არიან სხვა ძალები, მათ შორის, ელისაშვილიც. არის საამისო პირობები, რომ კონსოლიდაცია მოხდეს თუნდაც კონსერვატიული ძალების. ფრაგმენტულად ჩანან ასეთი ძალები ქართულ პოლიტიკაში, მაგრამ გამაერთიანებელი ფაქტორი მათთვის ჯერ არ ჩანს. გამოსავალი ისაა, რომ ვინც მოქმედებს ახლა და ვისაც რაიმე პრეტენზია აქვს, საკუთარ თავში იპოვოს ეროვნული ძალის რესურსი“, – აღნიშნა დავით ზარდიაშვილმა.

მანანა ნოზაძე

2021 წელს თბილისის გარეუბნებში უძრავი ქონება 200 დოლარით გაძვირდა

პანდემიამ უძრავი ქონების ბაზარი შეცვალა. როგორც სამშენებლო კომპანიებში აცხადებენ, მშენებლობის თვითღირებულება 35-40%-ით გაძვირდა, რაც ბინის ფასებზეც აისახა.

ამასთან, ბაზარზე ახალი ტენდენცია გამოიკვეთა და მშენებლობებმა ცენტრიდან გარეუბნებსა და დედაქალაქის შემოგარენში გადაინაცვლა. როგორც „კომერსანტთან“ კომპანია **„ივერონის“ დამფუძნებელი არჩილ ჯაყელი** ამბობს, გარეუბნებში, მაგალითად, დიღომში კოვიდამდე 1 კვადრატული მეტრის ღირებულება 500 დოლარის ფარგლებში მერყეობდა და უკვე 700 დოლარს მიაღწია.

მისი თქმით, მატულობს როგორც ფასი, ასევე მოთხოვნაც ვარკეთილსა და გლდანში, განსაკუთრებით მცირე ფართის კერძო საცხოვრებელ სახლებზე, რაც პანდემიამდე ნაკლებად შეიმჩნეოდა.

„მშენებლობის თვითღირებულება მასშტაბურად გაზრდილია და 35-40%-ს აღწევს, რაც ძირითადად სამშენებლო მასალების გაძვირებას უკავშირდება, მარტო არმატურა რომ ავიღოთ, ფასში 100%-იანი ზრდაა, საშუალოდ 50%-ით გაძვირდა მასალები, თუმცა ბინის ფასი ამ ტრენდს ვერ აჰყვა. ამდენით რომ გაძვირდეს უძრავი ქონება, რეალიზაცია კატასტროფულად შემცირდება, ისედაც ჭირს გაყიდვები. მით უმეტეს, მასშტაბური პროექტები ნაკლებად ხორციელდება, გარდა დიდი კომპანიებისა, შედარებით მცირე ინვესტიციები იდება, სამშენებლო კომპანიები ასე თამამად ჯერჯერობით ვერ რისკავენ“, – ამბობს „კომერსანტთან“ ჯაყელი.

რაც შეეხება ტენდენციას, მისივე ინფორმაციით, როგორც დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ასევე გარეუბნებში ფასები და მოთხოვნაც გაზრდილია.

„მშენებლობები გააქტიურდა დიდ დიღომში, ვარკეთილსა და გლდანში. ასევე თბილისის შემოგარენში, სადაც ასევე გაიზარდა მოთხოვნა. დიდ დიღომში უკვე 700 დოლარს მიუახლოვდა 1 კვადრატული ფართის ღირებულება, როცა კორონავირუსამდე ეს მაჩვენებელი 500 დოლარს არ აჭარბებდა. დღეს განსაკუთრებით დასრულებული მშენებლობაა გაძვირებული, უშუალოდ კოვიდიდან გამომდინარე, პატარა სახლებზე მოთხოვნამ მოიმატა. გარეუბნებს უფრო ირჩევს მომხმარებელი, ქალაქიდან გავიდა მშენებლობა – კოჯორი, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია, ტაბახმელა და სხვა, თბილისთან ახლოს მდებარე დაბებში ახალი მშენებლობები გააქტიურდა, უფრო კერძო სახლების მიმართ არის ინტერესი გაზრდილი, ზოგადად, რთულ მდგომარეობაშია დარგი“, – ამბობს არჩილ ჯაყელი „კომერსანტთან“.

ცნობისთვის, თბილისში საცხოვრებელი უძრავი ქონების ღირებულება 2021 წლის მეოთხე კვარტალში, წინა წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, 1.2%-ით, 2020 წლის საშუალოსთან შედარებით 8.5%-ით და 2021 წლის მესამე კვარტალთან შედარებით 2.1%-ით გაძვირდა. როგორც ბინების, ასევე კერძო სახლების სეგმენტში ყველაზე მაღალი ფასი მთაწმინდაზე დაფიქსირდა. ამის შესახებ ინფორმაციას საქსტატი ავრცელებს.

მთაწმინდაზე 1 კვადრატული მეტრი ბინის საშუალო ფასი 3930 ლარია ($1280), ვაკეში საშუალო ფასი 3540 ლარს შეადგენს, საბურთალოზე 3160 ლარს, ჩუღურეთში – 3045-ს, კრწანისში 2990-ს, დიდუბეში 2850-ს, ნაძალადევში 2720-ს, ისანში 2540-ს, გლდანში 2500-ს და სამგორში 2370 ლარს ($770).

მარი ჩიტაია

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე მზის ელექტროსადგური დამონტაჟდება

საძართველოს თავდაცვის ძალებში უახლოეს პერიოდში მზის ენერგიის პანელების დამონტაჟება დაიწყება. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, უწყებამ ლიეტუვის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროსგან გრანტი მიიღო, რომელიც ვაზიანის სამხედრო ბაზასთან ფოტოვოლტური ელექტროსადგურის მოწყობას მოხმარდება. თავდაცვის მინისტრმა საგრანტო განაცხადის დამტკიცების შესახებ ოფიციალური წერილი სააქციო საზოგადოებისგან „ვიასოლის ენერგია“ მიიღო.

„ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, საგრანტო პროექტი კარბონის დიოქსიდის ემისიის შემცირების მიზნით, ვაზიანში მზის ენერგიის პანელების დამონტაჟებას ითვალისწინებს. პროექტის დაფინანსება კლიმატის ცვლილების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. საგრანტო თანხა 417 384 ევროს შეადგენს, რომელიც ვაზიანში 500 კილოვატი სიმძლავრის ფოტოვოლტური ელექტროსადგურის დამონტაჟებას მოხმარდება. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 673 000 ევროა, რომლის 25 პროცენტს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დაფარავს, დარჩენილ თანხას კი სააქციო საზოგადოება „ვიასოლის ენერგია“ გაიღებს.

მეცნიერი, რომელმაც ქართული ფსიქოლოგიური სკოლა დაიცვა და აღორძინა

ირაკლი იმედაძე - 70

2022 წლის 2 იანვარს 70 წელი შეუსრულდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ირაკლი იმედაძეს. ეს საიუბილეო ასაკია, როცა ადამიანის განვლილ გზას აფასებენ ხოლმე. ირაკლი იმედაძის მიერ განვლილი გზის შეფასება მარტივიცაა და რთულიც. ირაკლი იმედაძის გზის შეფასება მარტივია, რადგან ბევრის მეტყველია მისი ბიოგრაფია და მეცნიერული პროდუქციის რაოდენობა; რთულია, რადგან ძნელია მისი შრომების მრავალფეროვანი შინაარსის სრულფასოვანი გადმოცემა.

ირაკლი იმედაძე დაიბადა 1952 წლის 2 იანვარს თბილისში, სოლოლაკის ერთ ძველ ისტორიულ სახლში. მასთან კარის მეზობლად ცხოვრობდა მისი მამიდა, ცნობილი ფსიქოლოგი ნათელა იმედაძე ასევე ცნობილ ფსიქოლოგ უჩა ბერეკაშვილთან ერთად. ირაკლი ბავშვობიდანვე ეზიარა ფსიქოლოგიას – ქალბატონი ნათელა ბილინგვიზმის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს ადგენდა იმაზე დაკვირვებით, თუ როგორ ეუფლებოდნენ მეორე ენას მისი მცირეწლოვანი ქალიშვილი და ძმისშვილი. ალბათ, ემოციური უჩა ბერეკაშვილის სიყვარულიც ფსიქოლოგიისადმი გადამდები იყო (ამ დიდი ოჯახის ყველა ახალგაზრდა მოგვიანებით ფსიქოლოგი გახდა). ეს სიყვარული გადაედო ირაკლისაც.

ი. იმედაძემ წარმატებით დაამთავრა ი. ვეკუას სახელობის მათემატიკური სკოლა, მაგრამ ბუნებისმეტყველებას არ გაჰყვა, ფსიქოლოგობა გადაწყვიტა და ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც მისი ლექტორები იყვნენ უზნაძის მოწაფეები: აკადემიკოსი რევაზ ნათაძე, პროფესორები ბარნაბ ხაჭაპურიძე, ნინო ადამაშვილი, გიორგი კეჩხუაშვილი. 1973 წელს ი. იმედაძემ წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი და ჩააბარა დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც მისი მეცნიერი ხელმძღვანელი იყო უზნაძის მოწაფე, პროფ. შ. ჩხარტიშვილი, რომელიც ინტენსიურად მუშაობდა პედაგოგიური ფსიქოლოგიის პრობლემებზე. 1978 წელს ი.იმედაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, სადაც ემპირიულად შეისწავლა ექვსი წლის ბავშვის მოტივაციურ-ნებელობითი მზაობა სკოლაში სწავლისთვის, დაადგინა, რომ ამ მზაობის აქსელერაცია არ ხდება. 1989 წელს ი. იმედაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, სადაც განიხილა ქცევის კატეგორიის და განწყობის თეორიის ურთიერთმიმართება, დააზუსტა ამ მიმართებაში გაჩენილი ბევრი თეორიული საკითხი.

1977 წლიდან ი.იმედაძე იყო ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილების, შემდეგ – განწყობის ფსიქოლოგიის, ასევე – ფსიქოლოგიის ისტორიის ლაბორატორიის გამგე, ხოლო 2006-2011 წლებში – ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. 2004 წელს მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემია. 2009 წელს ირაკლი იმედაძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1995 წლიდან ირაკლი იმედაძე საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტია. იგი არის მრავალი (მათ შორის – უცხოური) სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმის მონაწილე და ორგანიზატორი; რამდენიმე გრანტის შემსრულებელი და ხელმძღვანელი. ამჟამად ირაკლი იმედაძე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ფსიქოლოგიური განწყობის კვლევის და კორექციის ცენტრის განყოფილების გამგე.

ირაკლი იმედაძე არის 180 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ამათგან 13 პუბლიკაცია წარმოადგენს მონოგრაფიას ან სახელმძღვანელოს. ამ ციფრის მნიშვნელობის შეფასებისთვის საკმარისია გავიხსენოთ, რომ ქართულ ფსიქოლოგიაში, მათ შორის, მეცნიერებათა აკადემიის წევრებშიც ბევრი წიგნის დაწერა იშვიათია. სწორედ სამეცნიერო პროდუქციის ამ რაოდენობის გამო არის ადვილი, რომ უმაღლესი შეფასება მიეცეს ჩვენი იუბილარის მიერ განვლილ გზას.

ი. იმედაძის გამოცემულ შრომებსა და სამეცნიერო ინტერესებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ფსიქოლოგიის ისტორია. ქართველი ფსიქოლოგებიდან ფსიქოლოგიის ისტორიაში მუშაობდნენ აკადემიკოსი ანგია ბოჭორიშვილი და აკადემიკოსი ალექსანდრე (ვასო) ფრანგიშვილი. ორივე მათგანისთვის ინტერესის ძირითადი საგანი იყო ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური პრობლემები, მაგრამ ამ პრობლემების გასაღები ისტორიაშია. შემთხვევითი არაა, რომ დიმიტრი უზნაძის ეს ორი მეთოდოლოგიით დაინტერესებული მოწაფე ფსიქოლოგიის ისტორიაში მუშაობდა. თავად უზნაძემ ჩაუყარა საფუძველი ამგვარ მიდგომას, ის იყო კიდეც ფსიქოლოგიის ისტორიკოსი (რაც ხაზგასმული აქვს ი.იმედაძეს ერთ-ერთ პუბლიკაციაში).

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ფსიქოლოგიის ისტორიის შედარების საფუძველზე უზნაძემ გამოკვეთა თითოეულის მეთოდოლოგიური სპეციფიკა და აუცილებლად მიიჩნია უშუალო დეტერმინიზმის პოსტულატის დაძლევა ფსიქოლოგიაში. ამ მსჯელობიდან უზნაძემ გამოიყვანა განწყობის, როგორც გამშუალებელი რეალობის თეორია. უზნაძის შემდეგ ქართული ფსიქოლოგიური აზროვნების ტრადიციაში დამკვიდრდა ლოგიკური ჯაჭვი: „ისტორია-მეთოდოლოგია-თეორია“. ეს ტრადიცია გააგრძელეს ბოჭორიშვილმა, ფრანგიშვილმა,.. და ირაკლი იმედაძემ, მაგრამ ეს უკანასკნელი არსებითად განსხვავდება წინამორბედებისგან.

ი. იმედაძემ მხოლოდ ცალკეული სამეცნიერო ფრაგმენტები კი არ დაუთმო ფსიქოლოგიის ისტორიას, მეთოდოლოგიას და თეორიას, არამედ თითოეულ მათგანს ცალცალკე მონოგრაფიები მიუძღვნა. **ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რადგან, მიუხედავად ქართული ფსიქოლოგიური სკოლის დიდი ისტორიისა, მონოგრაფია ფსიქოლოგიის ისტორიაში პირველად ირაკლი იმედაძემ შექმნა, სადაც განიხილა ფსიქოლოგიური აზრის განვითარება ანტიკური პერიოდიდან დღემდე, განიხილა ყველა ის ავტორი და მიმდინარეობა, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ფსიქოლოგიური მეცნიერების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბებაში.** ფსიქოლოგიის ისტორიას ი.იმედაძემ რამდენიმე მონოგრაფია მიუძღვნა. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ მონოგრაფიაში ი.იმედაძე განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ქართულ ფსიქოლოგიას, მის წარმატებებს, უცხოელების შეფასებას და იმ ქარტეხილებს, რომელიც გამოიარა უზნაძის სკოლამ.

ირაკლი იმედაძე ხშირად განიხილავს განწყობის თეორიის გარშემო გაშლილ დისკუსიებს, მათ ცალკე წიგნიც მიუძღვნა 2021 წელს. რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული მისი ინტერესი ამ დისკუსიების მიმართ. ჯერ ერთი, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ისტორიას ვერ გადმოსცემ ამ დისკუსიების ხსენების გარეშე. მეორეც, რამდენიმე შეტევა იყო და ერთ-ერთის მოგერიება თავად ი.იმედაძესაც მოუწია სხვებთან ერთად...

საქმე იმაშია, რომ უზნაძის თეორიაზე შეტევა რამდენიმეჯერ განხორციელდა. პირველი ტალღა იყო წინა საუკუნის 30-იან წლებში, როცა უზნაძის განადგურება სურდათ მარქსიზმისგან გადახვევისთვის. ქართული ფსიქოლოგიური სკოლა გადარჩა. მეორე ტალღა გაჩნდა უზნაძის გარდაცვალების შემდეგ, 50-იან წლებში. იმხანად იდეოლოგიურ შეტევასთან ერთად თეორიული, ანუ ფსიქოლოგიური ფრონტითაც გვიტევდნენ რუსი კოლეგები. იმ დისკუსიებში ქართველი ფსიქოლოგების მიერ გამოჩენილმა პროფესიონალიზმმა და შემართებამ სკოლა მაშინაც გადაარჩინა.

70-იან წლებში ვითარება შეიცვალა. რუსმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ უზნაძის არაცნობიერის თეორია კარგი იყო ფროიდთან კამათისთვის და დაიწყეს უზნაძის ქება. ამასთანავე, ქცევის („დეიატელნოსტის“) მოსკოვურმა სკოლამ განიზრახა თავისი თეორიის ნაწილად წარმოეჩინა უზნაძის თეორია. დიდხანს გრძელდებოდა აკადემიური დისკუსიები რუსული და ქართული თეორიების მომხრეებს შორის. რუსული თეორიისგან ქართულის დასაცავად ბევრი ქართველი ფსიქოლოგი იბრძოდა. შოთა ნადირაშვილმა მონოგრაფიაც კი მიუძღვნა ამ თეორიების შედარებას. ქართული და რუსული ფსიქოლოგიის ზეპირ და წერილობით დისკუსიებში ჩაბმული იყო ახალგაზრდა ირაკლი იმედაძეც. სავარაუდოა, რომ იმ პერიოდმა გავლენა მოახდინა ი. იმედაძის პროფესიული ინტერესების ფორმირებაზე. ქართული და რუსული სკოლების დაპირისპირების ზონა იყო ქცევის ფსიქოლოგია. სწორედ ქცევის ფსიქოლოგია გახდა შემდგომში ი.იმედაძის კვლევის ძირითადი სფერო. **ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მის მიერ დამუშავებული ქცევის პოლიმოტივაციის ორიგინალური თეორიული მოდელი. ი.იმედაძის მიერ ქცევის ფსიქოლოგიის დეტალების ანალიზს მეცნიერული ღირებულების გარდა იმხანად ეროვნული ღირებულებაც ჰქონდა – ხელს უწყობდა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის თავისთავადობის დაცვას.**

ი.იმედაძე თავიდანვე ზრუნავდა განწყობის თეორიაზე არა მარტო მისი მეტოქეების კრიტიკით, არამედ თავად განწყობის თეორიის რთული საკითხების მოგვარებით. ამიტომ მან თავის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში დიდი ადგილი დაუთმო განწყობის ონტოლოგიური სტატუსის დადგენას, შ.ჩხარტიშვილის დინამიური მოდელის სწორ გააზრებას, არაცნობიერის გაგებას, აღქმის პარადოქსის მოხსნას, მოტივის და მოთხოვნილებათა ცნებების მიმართებას, ნებელობითი ქცევის განწყობისეულ რეგულაციას და სხვა აქტუალური საკითხების დამუშავებას. განსაკუთრებით დიდ სამსახურს უწევს ი.იმედაძე ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას იმით, რომ გამუდმებით აწვდის ახალგაზრდა ფსიქოლოგებს თანამედროვე სტანდარტებით აგებულ სახელმძღვანელოებს და განუწყვეტლივ ანახლებს მათ ახალ გამოცემებში, რაც პროფესიონალ ფსიქოლოგებს ჰ მატებს საქართველოს.

2011 წელს იმჟამინდელი ხელისუფლების შეცდომების წყალობით თანამშრომლების გარეშე დატოვეს რამდენიმე ინსტიტუტი, მათ შორის, ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. ამის შედეგად მოიშალა განწყობის კვლევის ტრადიციული ცენტრი, რომელსაც იმხანად ი.იმედაძე ხელმძღვანელობდა. მომხდარის მეტ-ნაკლები კომპენსირებისთვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განათლების და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით 2019 წელს გაიხსნა განწყობის კვლევის და კორექციის სამეცნიერო ცენტრი, სადაც ამჟამად მუშაობს ი.იმედაძე. სამ წელიწადში ამ ცენტრმა გამოუშვა განწყობისადმი მიძღვნილი საავტორი მონოგრაფიები და კრებულები, სულ 13 წიგნი. ამათგან სამი მონოგრაფიის ავტორი არის ი.იმედაძე. იგი მომავალი წლისთვისაც ემზადება (სულ მცირე) ერთი ახალი მონოგრაფიის დასაწერად ფსიქოლოგიისთვის უჩვეულო თემაზე – თავისუფლების პრობლემა. ეს ძალიან საინტერესო შენაძენი იქნება ჩვენი მეცნიერებისთვის, ისევე, როგორც სქელტანიანი წიგნი - „თანამედროვე ფსიქოლოგია: ძირითადი მიმდინარეობები და განვითარების პერსპექტივები“, რომელშიც თანამედროვე ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური ანალიზი იქნება წარმოდგენილი. მის გამოცემას უახლოეს დროს ველოდებით.

ვუსურვოთ ირაკლი იმედაძეს, ისევ ისეთი ბარაქიანი იყოს მისი მეცნიერული მოსავალი, როგორც აქამდე იყო.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

თბილისის მერია: მეტრომანები არ უქმდება

თბილისი მერია სამგზავრო ბარათ მეტრომანთან დაკავშირებით განმარტებას ავრცელებს. უწყებაში აღნიშნავენ, რომ სოციალურ ქსელში ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ბარათი უქმდება, რაც სიცრუეა.



„მეტრომანები არ უქმდება. აღნიშნული სამგზავრო ბარათები კვლავ რჩება მგზავრობის საფასურის ერთჯერადი გადახდის უნივერსალურ საშუალებად, სამგზავრო აბონემენტების პარალელურად. გარდა ამისა, სრულად ნარჩუნდება ბარათზე აქამდე არსებული ბალანსები და აღნიშნული თანხის გამოყენება მგზავრს შეუფერხებლად შეუძლია.

მეტრომანით მგზავრობის საფასურის გადახდა აქამდე შესაძლებელი იყო მეტროთი, ავტობუსით და საბაგიროთი მგზავრობისას, ამჟამად კი, ასევე, შესაძლებელია ლურჯი მიკროავტობუსით მგზავრობისას.

თბილისის მერიამ არაერთხელ გააკეთა განცხადება, რომ აქამდე მოქმედი ბარათები რჩებოდა ძალაში. მომავალშიც, ნებისმიერი მსგავსი სიახლის შესახებ ინფორმაციას პირველ რიგში, მერია გაავრცელებს“, – აღნიშნავენ მერიაში.

„მამაჩემის კალაპოტიდან ამოგდება შეუძლებელი იყო“

„წყნარი დონის“ ავტორის უმცროსი ვაჟის ბოლო ინტერვიუ

მიხეილ შოლოხოვი შვილთან, მიხეილთან ერთად თავის სამუშაო კაბინეტში. 1974 წ.

(პირველი გვერდიდან)

– მიხეილ, როდის მიხვდით, რომ მამათქვენი მწერალი იყო?

– რასაკვირველია, ძალიან ადრე. მით უმეტეს, რომ გარშემო ყველანი ერთსა და იმავეს ამბობდნენ, მწერალიაო.

– ჩანაწერებს თუ აკეთებდა „დასახსომებლად“, მომავალი ნაწარმოებებისთვის?

– არა, არცროდის არ მინახავს, რომ რაიმე ჩაეწეროს. ფენომენალური მეხსიერების ადამიანი იყო. ზუსტად ახსოვდა არა მარტო მოვლენები, არამედ ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო წვრილმანები ყოფა-ცხოვრებისაც, ადამიანთა გარეგნობისაც და ბუნებაში სეზონური ცვლილებებისაც.

– როგორ აგებინებდა გარშემომყოფთ სამწერლო მაგიდასთან რომ მიდიოდა სამუშაოდ და გარკვეული დრო რომ არ უნდა შეეწუხებინათ?

– შევიდოდა თავის ოთახში, ჩამოვარდებოდა სიჩუმე და სწორედ ეს ნიშნავდა, რომ არცვის არ უნდა შეეწუხებინა. ყველამ იცოდა, რომ თითის წვერებზე უნდა ევლო.

– ჩვეულებრივ როგორ იწყებდა ახალ ნაწარმოებს? რამე გეგმა ჰქონდა? არქივებში თუ დადიოდა? ბევრს ფიქრობდა თუ სწრაფად ხსნიდა კვანძს?

– არ ვიცი, ოღონდ არცრა გეგმა არ ჰქონია. არ შემიძლია იმის თქმა, თუ როგორ იწყებდა წერას, შეუმჩნეველი იყო. ჩანს, ჯერ თავში ალაგებდა ყოველივეს, მერე მიუჯდებოდა მაგიდას და „გადმოღვრიდა ქაღალდზე“. სულ ეს იყო. ჩემი თანდასწრებით არცრა არქივში წასული არ მინახავს. თუკი რამ სჭირდებოდა, თხოვნით მიმართავდა ხოლმე და რაღაცას უგზავნიდნენ ან მოჰქონდათ.

მერე, ომიანობისას, როგორღაც კირილ პოტაპოვს დაუმეგობრდა – გაზეთ „პრავდას“ ლიტერატურისა და ხელოვნების რედაქტორს, რომელიც ერთი ხანობა თავის თავს „**შოლოხოვის ადიუტანტსაც**“ კი ეძახდა. ამ პოტაპოვის საშუალებით მამაჩემი დაუკავშირდა მავან ბუკინისტს და კიდევ ლენინის ბიბლიოთეკის ვიღაც მუშაკს. ეს ბიბლიოთეკა ზოგიერთ წიგნს ხელზე არ იძლეოდა, პოტაპოვი კი მაინც ახერხებდა გამოტანას და მამაჩემთან მოჰქონდა. ძალიან ბევრი წიგნი იყო ბიბლიოთეკის შტემპელიანი, მერე ყველას ისევ უკან აბრუნებდა.

ხოლო ის არქივები, რომლებიც წიგნისთვის – „**ისინი სამშობლოსთვის იბრძოდნენ**“ აუცილებელი იყო, მამაჩემისთვისაც დახურული იყო. წერა ფაქტებზე, სამხედრო ოპერაციებზე ისე, რომ პერიპეტიებს არ იცნობდა, არ შეეძლო და ამის გამო ძალიან წვალობდა.

– მგონი, მიხეილ შოლოხოვი დროზე მიხვდა, რომ მოსკოვის მწერალთა წრეში რისამე სწავლა იმისთვის „სახიფათო“ იყო – შეიძლებოდა, რომ „ყველასნაირი გამხდარიყო“. როგორ ეხმაურებოდა იგი დედაქალაქის ლიტერატორთ, იმავე მწერლებს „მოლოდაია გვარდიას“ ლიტერატურული ჯგუფიდან, რას ამბობდა იმათ შემოქმედებასა და პირად თვისებებზე?

– იცით რა, ახლა სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ თუ ოდესმე რასმე ამბობდა იმათზე, ყოველთვის მოკლედ მოჭრიდა ხოლმე. მთელი ის წრე არ უყვარდა, ათვალწუნებული ჰყავდა, კონიუნქტურისტებად და ინტრიგანებად მოიხსენიებდა. სინამდვილეში ასეც იყო. გორკიდან მოკიდებული, და იქნებ ბევრად ადრეც, რაღაც უცნაური პროცესი ვითარდებოდა. ხშირად ჯგუფდებოდნენ ის მწერლები, „შეკაზმავდნენ“ რომელსამე თავიანთ იდეას და ამ იდეის გულისთვის ურთიერთლანძღვაც შეეძლოთ, ჩხუბიც და ერთმანეთის ციხეში ჩასმაც – თვით ფიზიკურ განადგურებამდე. მამაჩემს ეს მოსკოვის მწერალთა წრე ზიზღსა ჰგვრიდა და თუკი ვინმე ესტუმრებოდა ხოლმე, მხოლოდ იმაზე ელაპარაკებოდა, ამ გრძოლაში ჩვენი მხარე დაიჭირეო. ეს იყო და ეს.

მამაჩემი, როგორც იტყვიან, იმათ ლაპარაკს, ერთ ყურში შეუშვებდა, მეორედან გამოუშვებდა. მიაჩნდა, რომ მკითხველი თავად შეაფასებდა ნაწარმოებსაც და ავტორსაც.

– რა წყაროებიდან იძენდა (თავისი გარემოცვის გარდა) ისტორიის, ზნეობების, ყოფითი ურთიერთობის, ხატოვანი ენის, ანდაზების, სიტყვის მასალისა და კაზაკური სიმღერების ცოდნას?

– თუ მხედველობაში მივიღებთ ფრიად ფართო გარემოცვას, ანუ ვისთანაც უხდებოდა ურთიერთობა, ცხადია, ამ გარემოცვისგან იძენდა. ძირითადად კი, ჩემი აზრით, ბევრი რამ შეიძინა თვითონ კაზაკთაგან. ისინი თავიანთ გასაჭირს ხუმრობაში ატარებდნენ. ეს კარგი კაზაკური თვისება იყო – სახიდან ღიმილს არ იქრობდნენ ნებისმიერ შემთხვევაში. თანაც სულ ანდაზური ლაპარაკი იცოდნენ... ისეთ რასმე იტყოდნენ, ოღონდ ტაქტიანად, იქნებ უხერხულობაც გეგრძნო! ეს, ცხადია, მწერლისთვის მისწრება იყო. კარგად იცნობდა ლისტოპადოვის კაზაკური სიმღერების ჩანაწერებს. ხელს სატაცად ჰქონდა ბროკჰაუზიც, დალიც, ანდაზებისა და სიტყვის მასალის სიტყვისკონა. ალბათ, იქაც იყურებოდა. ოღონდ პირდაპირ გადმოღება ძალიან არ უყვარდა.

– ლაპარაკში იყენებდა თუ არა თავისი წიგნების ტექსტებს? ზეპირად ხომ არ ამბობდა ხოლმე ნაწყვეტებს?

– ძალიან იშვიათად. ერთხელ მილოროვოდან ვიოშკაში მივდიოდით შინ, გაზაფხული იდგა, გზის ორსავე მხარეს სარსარაკები ხმიანებდნენ, ასფალტი ჯერ არ იყო. კარგინიდან ბორცვზე ავიაღმართეთ და რას ვხედავთ, ცა ბატებს გაებადურებინათ – კარგა დიდი გუნდი მიფრინავდა და მერე უკვე ბუკოვსკის ბორცვზე რომ გადავინაცვალეთ, წეღანდელივით მახსოვს, მან მკითხა: „**ჰაა, თვალები ხო არ აგიჭრელდა?**“ „**რა თქმა უნდა, ამიჭრელდა**“, ვუთხარი. მერე უკვე „წყნარ დონში“ წავიკითხე, როგორ ეკითხება პანტელეი პროკოფიჩი გრიგორის დაახლოებით მსგავს ვითარებაში: „**ჰაა, თვალები ხო არ აგიჭრელდა?**“

ხოლო რაც შეეხება იმას, თავისი წიგნებიდან თუნდაც სულ მცირე ნაწყვეტები რომ წარმოეთქვა, ნამდვილად არ მახსოვს.

– თვალყურს თუ ადევნებდა ლიტერატურულ ცხოვრებას ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც? კითხულობდა თუ არა თანამედროვე ავტორებს? ჩქარი კითხვა იცოდა?

– კი, ჩქარა კითხულობდა. ეს კიდევ იმით აიხსნება, რომ გვერდებს „თვალის გადავლებით“ კითხულობდა. მაგრამ, როცა დაგულისყურებული კითხულობდა, გვერდებს მაინც ჩქარა ფურცლავდა. თანამედროვე ავტორთაგან კითხულობდა, მაგალითად, ტვარდოვსკის, სიმონოვს, აბრამოვს, ბელოვს, ასტაფიევს, რასპუტინს – მთელ ამ კოჰორტას სიამოვნებით კითხულობდა, ხან კიდეც მიუბრუნდებოდა ხოლმე და აქებდა. ამათ მერე „სოფლის მწერლები“ დაუძახეს, ზოგიერთის ამ ნათლობაში, ცოტა არ იყოს, უპირატესობის შურის გრძნობაც შეიმჩნეოდა...

– XIX-XX საუკუნეთა რომელ მწერალთ გამოჰყოფდა საერთო მწყობრიდან და რომელნი კიდევ, პირიქით, მაინცდამაინც არ უყვარდა?

– იცით, რა, ცოტა რბილად რომ ვთქვა, თვალში არ მოსდიოდნენ სატირიკოსნი. ის კი არა, ხან გოგოლზეც ხშირად გადაბრუნებულ სიტყვას ამბობდა. არ უყვარდა სალტიკოვ-შჩედრინი. სხვათა შორის, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ ძალიან არ უყვარდა „შავი ფერი“, ხოლო გოგოლსა და სალტიკოვ-შჩედრინს ბევრი ისეთი ადგილი აქვთ, რომ სიშავის გარდა, ვერცრას სხვას ვერ უნახავ. სამაგიეროდ, ხშირად იგონებდა პუშკინს: „**ბევრის თქმა რა კაცის საქმეა, ჭეშმარიტება სიყვარულშია**“.

ერთხელ, ამ თემაზე საუბრისას, ხან მე მიყურებდა, ხან დედაჩემს. ჩემს ძმას და მძიმემძიმედ, თითქოსდა დაფიქრებულმა, ალბათ, უფრო ნაღვლიანად, წყნარი ხმით წაიკითხა ლექსი (საერთოდ ბევრი ლექსი იცოდა, როგორც რუსი, ისე ქართველი პოეტებისა).

„არა და არა, ყველას არა აქვს
სხვათა მხილების წმინდა უფლება,
მოუზომელი სიტყვის სამსალა
არ არის სიტყვის თავისუფლება.
სიტყვაში უნდა სიმართლის თესლი
ღვიოდეს როგორც ხორბლის მარცვალი,
თუ არა, ისე ხელში შეგვრჩება
ცეცხლის მაგივრად შავი ნაცარი“.

კარგა ხნის მერე შევიტყვე, რომ ეს პლეშჩეევი იყო.

თუმცა მამაჩემს ამ თემაზე ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ არაერთხელ ჩამოუგდია სიტყვა „შავ“ მწერლებსა და „ნათელ“ მწერლებზე. მაშინ ჩემთვის ეს პრობლემა ადვილი გადასაჭრელი არ იყო. სკოლაში აკი მაინცდამაინც არ გვაცნობდნენ რუს ფილოსოფოსთა შრომებს. მამაჩემი ამბობდა, თუ რამ ვიცი, სულ „...კიების“ (დანილევსკი, კორეევსკი, კლუჩევსკი, ფლორენსკი) დამსახურებაო! ამ ხალხშია რუსული აზრის სიმდიდრე, ეს ხალხია თვითონ რუსეთიო! რა მოაზროვნენი არიან, ღმერთო! სწორედ ამ აზროვნებას ვიყავით მოკლებულნი, არადა ისინი ბევრად უფრო ნათელს გახდიდნენ ყველაფერს. მჯერა, თვითონ რუსეთიც სულ სხვანაირი იქნებოდა, უფრო მოწყობილი, უფრო მდიდარი და სამართლიანი, იქნებ უფრო მშვენიერიც.

– საერთოდ თუ უყვარდა მამას წაფილოსოფოსობა? წარსულის ფილოსოფოსთაგან რომელთ იშველიებდა ლაპარაკში?

– წაფილოსოფოსობა არ უყვარდა, უყვარდა ნიშანდობლივი საუბარი ნიშანდობლივ თემებზე. განყენებული ფილოსოფოსობა არ ეპიტნავებოდა. თუ ვისმე ციტატას იშველიებდა ძველთაგან, უფრო მეტად ნამდვილი, „მკაცრი“ ფილოსოფოსი იყო, მაგალითად, ციცერონი, სოკრატე, ჭეშმარიტად ბრძენკაცნი, რომელთაც ცხოვრება იცოდნენ და არა უბრალოდ მსჯელობდნენ თეორიულად.

– ცნობილია, რომ შოლოხოვს უყვარდა დონ-ამინადოს (ა. შპოლიანსკის) ლექსები. როგორ გაეცნო პოეტს? როდის? ზეპირად თუ იცოდა?

– როდის გაიცნო, არ ვიცი, მაგრამ შევსწრებივარ, ზეპირად რომ უთქვამს, თუმცა იშვიათად. მგონი, 1935 წელს საზღვარგარეთ იყო და იქიდან ჩამოიტანა იმისი წიგნი, ხანისად ყველანი ერთად ვკითხულობდით ხოლმე. დაახლოებით შუა ნაწილში რამდენიმე ფურცელი ფრთხილად იყო ამოხეული. ლექსების თემა მაინცდამაინც დიდი ვერაფერი იყო, მაგრამ ლექსები რაღაცით მოსწონდა. ავტორი თითქოს საგულისოდ, სერიოზულად წერდა, ოღონდ მსუბუქად, ხუმარსიტყვით... მართალი გითხრათ, ის მეც მიყვარს. იმის ორ თუ სამ კრებულს ახლაც ვინახავ.

– როცა იგრძნო, რომ ჯანმრთელობა თანდათან ერყეოდა, თავისი არქივის, თავისი ნაწერების რომელ ნაწილზე დაიწყო უფრო ზრუნვა?

– არც არაფერზე არ უზრუნია. ბევრი რამ, ადგა და დაწვა. თავისი არქივის რა ნაწილი უფრო აფიქრებდა, ვერ ვიტყვი, მეძნელება. არც ის ვიცი, ჰქონდა თუ არა არქივი როგორც ასეთი ომის შემდგომ. დიდი ოთახის მაგიდის უჯრებში დასტადასტა ეწყო ცალკეული ხელნაწერი ფურცლები, ხოლო იმის თქმა, რომ ჰქონდა არქივი, რაღაცას საგულდაგულოდ ინახავდა, ვერ ვიტყვი. საერთოდ გასაკვირად გულგრილად ეკიდებოდა თავის ხელანწერთ. დედაჩემი იხსენებდა, რომ თავდაპირველად თურმე სცხვენოდა კიდეც თავისი ხელნაწერების შეგროვება. დედაჩემს რომ დაუწყია ხელნაწერთა თავმოყრა, მამაჩემს საყვედურიც კი უთქვამს: „**რას შვრები, გაანებე თავი! მერე ვინმე ნახავს და იტყვის: „ხედავთ, როგორ იფასებს შოლოხოვი თავსო! არქივს აგროვებსო!**“ ხოლო მერე ყველა მომაკვდინებელი ცოდვა რომ დააბრალეს, დაეთანხმა დედაჩემს, რომელიც თავიდან ყველა ხელნაწერს ხელით უთეთრებდა, მერე უკვე ბეჭდავდა, აგროვებდა, ინახავდა. მამაჩემი უარს აღარ ეუბნებოდა, ის კი არა, ხელსაც აშველებდა კიდეც. ძალიან დასანანია, რომ ეს ყველაფერი ომის დროს დაიკარგა, მაგრამ, როგორ დაიკარგა, დღემდე გამოცანაა!

გაქრა ყველაზე დიდი, კარგი ყუთი. მამაჩემს ეგონა, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა (ნკვდ) წაიღო და იმედიანად იყო. ყუთში იყო „გატეხილი ყამირის“ მეორე წიგნის ხელნაწერი, მოთხრობების ხელნაწერი, „წყნარი დონის“ ნაწილები, შემოქმედებითი მიმოწერა, წერილები, რომელთა შორის იყო სტალინის წერილები. ევაკუაციაში რომ მივდიოდით, ორი ყუთი – ერთი სახლის ნივთებითურთ, ხოლო მეორე არქივით, – სახლის უკან ფარდულში ჩავფალით. როცა 1942 წელს გერმანელები როსტოვიდან განდევნეს, ჩვენ ვიოშკაში ჩავედით, „დავზვერეთ“ შეიძლებოდა თუ არა შინ დაბრუნება. რამდენიმე დღეში კი დაიწყო დაბომბვები. ჩვენს სახლთან მოვიდა სატვირთო მანქანა, რომელშიც იყვნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (ნკვდ) უფროსი და რაიკომის მდივანი, თქვეს, არქივები მიგვაქვს უხიფათო ადგილასო და მამაჩემს უთხრეს, შენი არქივიც უნდა წაიღოთო. მამაჩემმაც გაატანა არქივი, მაგრამ არც ხელწერილი ჩამოურთმევია და არც უკითხავს, სად მიგაქვთო.

ამბობდნენ, მანქანას ბომბი დაეცაო. შესაძლებელია, ფურცლები გაიფანტა და ჯარისკაცები თურმე თუთუნის გასახვევად იყენებდნენ, არც ეს არის შეუძლებელი. წიგნებს კი ხან რომელ ხუტორში პოულობდნენ, ხან რომელში.

მანქანის მოძრაობის მარშრუტის აღდგენა თავისუფლად შეიძლებოდა, რადგან ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ბევრი ის ადამიანი, ვინც ეს ზედმიწევნით იცოდა, მაგრამ არცვის არცრა არ ენაღვლებოდა. ცხადია, არც ამის დრო არ იყო. ყველაფერი გაქრა, სამწუხაროა.

– თუ ყვებოდა მამა ოდესმე თავისი ცხოვრების ყოვლის უფრო დაძაბულ მომენტებზე: სტალინთან შეხვედრებზე, „წყნარი დონის“ ავტორობის გამო პოლიტბიუროს კომისიის სხდომაზე, ყოფილ ჩეკისტ პოგერელოვთან დაკავშირებულ ამბავზე?

– კი, ყვებოდა. ხშირად იგონებდა სხვადასხვა ეპიზოდებს. რაც შეეხება „წყნარი დონის“ ავტორობის გამო კომისიის სხდომას, ჩემი თანდასწრებით არცროდის არაფერი არ უთქვამს, არ მახსოვს. პოგერელოვთან ერთად მოსკოვში მგზავრობას ხშირად იგონებდა. ოღონდ იგონებდა არა როგორც თავისი ცხოვრების ყოვლის დაძაბულ მომენტს, არამედ როგორც იმ დროისთვის ჩვეულებრივ ამბავს.

სტალინთან შეხვედრებზე ძალიან ხშირად არა, მაგრამ ყოველთვის როცა სიტყვა მოიტანდა, აშკარა პატივისცემით ლაპარაკობდა. სხვა მწერალთაგან განსხვავებით, სტალინის კარი, როგორც იტყვიან, მწერალ შოლოხოვისთვის მუდამ ღია იყო. შეეხმიანებოდა გენერალ პოსკრებიშჩევს, სტალინის პირად მდივანს და ისიც ეგრევე ბელადის პასუხს გამოუტანდა, როდის რომელ საათზე მიიღებდა. სტალინი და მამაჩემი ერთდროულად გახდნენ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები 1939 წელს. რასაკვირველია, ამას აღნიშვნა უნდოდა და აღნიშნა კიდეც სასტუმრო „ნაციონალში“ თავის ძალიან ახლო მეგობართა წრეში. სწორედ ამ დროს დაჰკავშირებია ბელადი და მიუპატიჟებია თავისთან კუნცევოს აგარაკზე, რახან შენ არ მიმიწვიე, მე გეპატიჟებიო, ჩვეული იუმორი გაურევია. ბოდიში, მაგრამ ცოტა ნასვამი ვარ და ვერ შეგაწუხებთო, თავპატიჟივით გამოსვლია მამაჩემს, არა უშავს რა, ამჯერად გეპატიება როგორც ახალ და ახალგაზრდა აკადემიკოსსო, ყურმილში ჩაუცინია სტალინს, მალე მანქანა მოგაკითხავსო. აი მაშინ კი სულ დავიბენინო, მამაჩემმა, და მანქანის ნომერი ვკითხე, რა ნომრიანი მანქანა იქნება-მეთქი, თვითონ მოგძებნიან, თვითონ მოგაკითხავენო, და ამით დამთავრდა ჩემთვის ეს მოულოდნელი და ფიქრგამშლელი საუბარიო.

მერე უკვე ხრუშჩოვმა, თავისი მოკლე ჭკუით, სტალინის კულტის მხილება რომ დაიწყო, შენც გეხსომება ყრილობის დელეგატის მიხეილ შოლოხოვის ფრაზა: **იმისთვის, რომ პიროვნების კულტი შეიქმნას, უწინარესად პიროვნება უნდა იყოსო, რასაც ხრუშჩოვის საყვედური მოჰყოლია.** ისე, თვითონ ფაფხურა ხრუშჩოვიც ბევრს ეცადა, მაგრამ თავისი კულტი ვერა და ვერ შექმნაო.

იმ ყუთზეც ჩამოაგდებდა ხოლმე სიტყვას, ომიანობისას რომ დაიკარგა და რომელშიც სტალინის პირადი ხელნაწერი წერილებიც იყო. არ ვიცი, მეორე პირი სადმე არის თუ არაო, სინანულით ამბობდა.

ეს ახლო ურთიერთობა ბელადთან, ცხადია, სხვა მოსკოველ მწერალთა დაუფარავ შურიანობას იწვევდა. ხომ გაგიგონიათ, შარიანმა კაცმა შურის გულისთვის შარა მოხნაო, მამაჩემის მიმართ რას იზამდნენ, ხო წარმოგიდგენია!..

– იმ მწერალთაგან ყოვლის უფრო მეტად ვინ უმწარებდა ცხოვრებას შოლოხოვს – მწერალს? მართლები არიან ისინი, ვისაც მიაჩნდა, რომ ეს სოლჟენიცინი იყო?

– არა, მართალნი არ არიან. წეღანდელივით მახსოვს, მამა მხოლოდ კარგს ამბობდა „ივან დენისოვიჩზე...“ „მატრონას ეზოზე“. პარიზში ეს ბოდვა რომ დაიბეჭდა, სოლჟენიცინის წინათქმით, მამამ მაშინ გაიგო, რომ ასეთი წიგნი გამოსულიყო, თავად არ წაუკითხავს.

მახსოვს, კონსტანტინ პრიიმა უყვებოდა, პარიზში გამოვიდა ასეთი წიგნიო, პრიიმა კი პათოსს მოკლებული არ იყო, აღშფოთებული ლაპარაკობდა. მამა უსმენდა, უსმენდა და მერე ჰკითხა: „რა უნდა მაგ ახირებულს?“ მორჩა და გათავდა. სულ ეს იყო მამაჩემის აზრი სოლჟენიცინზე.

– ცნობილია კაზაკი-ემიგრანტების გამოხმაურება „წყნარ დონზე“. რას ამბობდა მწერალი მიხეილ შოლოხოვი იმ კაზაკებსა და იმათ გამოხმაურებაზე?

– ის პატივისცემით ექცეოდა კალედინს, კრასნოვს, ბევრ სხვასაც, იმ დროის რიგით კაზაკთ. პირადად იცნობდა სტანიცა კლეტსკაიას ყოფილ მცხოვრებს ს. კელინს, ექიმს, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში ცხოვრობდა. ისინი რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს და ჩანდა, რომ მამაჩემს სიამოვნებდა, რაკი იცნობდნენ საზღვარგარეთ მოხვედრილი რუსი ადამიანები, კაზაკები. დიდად კმაყოფილი იყო ემიგრანტთაგან „წყნარი დონის“ მაღალი შეფასებით. იმ ემიგრანტთაგან ბევრი მომსწრეც და მონაწილეც იყო წიგნში აღწერილი ამბების.

ამჟამინდელი ამბებისა და წიგნის გმირებში ისინი თავიანთ თავს ცნობდნენ, თავიანთ აზრებსა და გრძნობებს პოულობდნენ (მაგალითად, ბულგარეთიდან გამოგზავნილი წერილის ავტორი პ. კუდინოვი „წყნარ დონს“ „კაზაკურ ბიბლიად“ მოიხსენიებდა).

– ინტერნეტში და ნაბეჭდ გამოცემებში ხშირად შეცდომით წერენ, რომ მწერალი მიხეილ შოლოხოვი იყო კომკავშირელი, მეტყვიამფრქვევე, განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების (ჩონ) წევრი და ათასი სხვა რამ. საიდან იღებენ ყოველსავე ამას და რატომ მეორდება შეცდომები ასე ხშირად?

– რატომ და, ცილი რომ დასწამონ ადამიანს: აღრე თუ განსაკუთრებული დანიშუნლების ნაწილების მონაწილე ნამდვილი გმირი იყო, ახლა საზიზღარი უარყოფითი პერსონაჟია. ის არც არასოდეს არ ყოფილა კომკავშირელი, მით უმეტეს, მეტყვიამფრქვევე. ერთხელ მამამ ვიღაც ჟურნალისტს ინტერვიუ მისცა და იქ თქვა, დრო იყო ისეთი, ათასი რამ უბედურება ხდებოდა, ბანდები ჩვენ დაგვდევდნენ, ჩვენ კი ბანდებს დავდევდითო. ჩემი აზრით, სწორედ ეს ნათქვამი გახდა ათასგვარი ჭორჭურის წყარო და კიდევ ერთი დროისეული ხარკი: **„მაგრა ვკომისარობდიო“** მთელი იმისი **„კომისარობა“** კი ის იყო, რომ კაზაკებს უმცირებდა გადასახადებს, არ აჭრიდა მიწის ფართობს, რომ როგორმე თავი გადაერჩინათ.

სტანიცა ბუკანოვსკაიაში მამას ნაცნობები ჰყავდნენ – ხოდუნოვები. ისინი იმ წლებში იყვნენ არა მარტო „წითლები“, არამედ „ძალიან წითლები“. და ერთხელაც მამაჩემი რომ დაიჭირეს, ვალენტინ ხოდუნოვი სტანიცა ბუკანოვსკაიადან დონამდე ხუთი-ექვსი კილომეტრი, მარცვლეულის ჩასაბარებელ პუნქტამდე, იმ ადგილამდე, სადაც გემები ჩერდებოდნენ, მიჰყავდათ ის დატუსაღებული. თვითონ „ბადრაგა“ – ჯუჯა, „კრუხის პალო“, უკან მისდევდა. მამაჩემი წინ მიდიოდა, იმის შაშხანა ეჭირა და ეკითხებოდა **„დაიღალე, ვალენტინ ივანოვიჩ?“**

მერე მთელი ცხოვრება მეგობრობდნენ. ხოდუნოვი აქ, ვეშენსკაიაში, თვეობით გვსტუმრობდა და როცა მამაჩემი ახლობლებთან ერთად სანადიროდ ან სათევზაოდ მიდიოდა, იმასთან ჩერდებოდნენ. ხან გადაჰკრავდა ხოლმე: **„აბა, ერთი, მოყევი, როგორ მიგვყავდი დასახვრეტადო?“**

– მიხეილ, არის ასეთი გამოთქმა – „ტრაგიკული ბედ-იღბლის მწერალი“. შეიძლება ამის თქმა მწერალ შოლოხოვზე?

– შეიძლება და მერე როგორ. ისე, გარკვევაა საჭირო – ტრაგიკული ბედ-იღბალი ცხოვრებაში, ყოფა-ცხოვრებაში თუ ლიტერატურაში? ცხოვრებაში, ალბათ, არ ჰქონია ასეთი ტრაგიკული ბედ-იღბალი, თუმცა ახალგაზრდობაში ბევრი რამ უბედურება გადახდა... რაც შეეხება ლიტერატურას, თქვენთვის ცნობილია. თავიდან როგორც დაიწყო, ისე გაგრძელდა ბოლომდე. რატომღაც **„თავითფეხამდე შეჭმა“** უნდოდათ, მოსკოვის ლიტერატორთა წრეს ძალიან არ უყვარდა, და არც მამაჩემს ეხატნენ ის მწერლები გულზე.

მწერალ მიხეილ შოლოხოვის ხანგრძლივი ლიტერატურული მარტვილობა შურით უნდა აიხსნას...

– რამდენად შეეძლო ათასგვარ უსიამოვნებას და ლიტერატურულ პრობლემებს იმისთვის მოთმინების დაკარგვინება და კალაპოტიდან ამოგდება?

– ვფიქრობ, იმის კალაპოტიდან ამოგდება საერთოდ შეუძლებელი იყო. უსიამოვნებანი და პრობლემები კი ბევრი შეხვდა, როგორც ყველას. თუ შვილები გავაბრაზებდით ჩვენი საქციელით ან რაიმე შარს გადააწყდებოდა, მაშინ ბუნებაში მიდიოდა ან თავის ოთახში მარტო გამოიკეტებოდა ხოლმე.

ადამიანებს სურთ, რომ შოლოხოვზე გაიგონონ რამე უჩვეულო, ის კი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, არცრით არ განსხვავდებოდა სხვათაგან მანამდე, სანამ თავის საწერ მაგიდას არ მიუჯდებოდა...

დასაბეჭდად მოამზადა
გურამ გოგიაშვილმა

P.S. **სხვათა შორის,** ჩემი ერთი ძველი ჩანაწერის მიხედვით, 1961 წლის ივნისში სტანიცა ვეშენსკაიაში მიხეილ შოლოხოვის საქართველოში მოსაპატიჟებლად რომ ვიყავით გაზეთ „კომუნისტის“ ორი ჟურნალისტი, მწერალმა თითქმის სიტყვასიტყვით იგივე თქვა, რასაც იმისი შვილი ეუბნება კორესპონდენტს 1939 წელს სტალინთან ერთ-ერთ შეხვედრაზე.

გ. გ.

ჯუნას ფენომენი: მოსკოვური ეპოპეა

მიუხედავად იმისა, რომ არაკეთილმოსურნე პუბლიკაციების შედეგად ჯუნა დავითაშვილის სახელი რამდენადმე შეილახა, გარკვეული კარგი როლი მაინც ითამაშეს. მისი პოპულარობა მკვეთრად გაიზარდა, მის შესახებ ყველანი ალაპარაკდნენ, თუმცა ძალიან ბევრი ცრუ ინფორმაციაც ვრცელდებოდა.

საქმეში უცხოური პრესაც ჩაერთო, ყველაზე მდიდარი ფანტაზია კი ამერიკელ ჟურნალისტს ჰენრი გრეის აღმოაჩნდა. აქაოდა ჯუნა ბრეჟნევს მკურნალობდაო... არადა, **სიმართლე ის იყო, რომ მოსკოვში ყოფნისას ჯუნამ შეძლო პარაფსიქოლოგიისა და ექიმბაშობის პრობლემებისადმი მეცნიერებისა და ხელისუფლების არაერთი უმაღლესი თანამდებობის პირის ყურადღების მიპყრობა.**

მართალია, ჯუნას მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყვნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა და სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტები, მაგრამ ამასთანავე, მას ჰყავდა არანაკლებ წონიანი ქომაგები, ვთქვათ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი გ. მარჩუკი, სსრ კავშირის გოსპლანის თავმჯდომარე ნ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. რაიკინი, რომელმაც უშუალოდ სსრ კავშირის კომპარტიის ცკ-ის გენერალურ მდივანს ლეონიდ ბრეჟნევსაც კი მიმართა. ცხადია, ამან შედეგი გამოიღო, რადგან მაშინ ბრეჟნევის სიტყვა მეფე სოლომონის ფირმანზე ბეჭდის დასმაზე მეტი იყო. ჯუნა და მისი ვაჟიშვილი ვახტანგი მოსკოვში ჩაწერეს, სამუშაო ადგილი მიუჩინეს...

თავის ნიჭს ჯუნა საჯარო გამოსვლებზე არ ფლანგავდა, მის გამოყენებას ადამიანთა განსაკურნად იყენებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჯუნასთან შეხვედრის შემდეგ მრავალი პაციენტი მისი მოკავშირე ხდებოდა. თბილისში ყველანი იცნობდნენ, მაგრამ მოსკოვში საქმის ნულიდან დაწყება მოუწია, ამიტომაც კვლავ იმავე გზას დაადგა – ავადმყოფთა მკურნალობის პარალელურად ხალისით იღებდა მონაწილეობას ფიზიკურ ცდებშიც, რომლებსაც მუდამ „ფრიადზე“ აბარებდა.

ყოველივე ამის მიუხედავად, ჯუნა დავითაშვილის ფენომენს ისევე, როგორც ტელეკინეზისა და ბიოდენებით მკურნალობას გაცილებით უფრო მეტი გავლენიანი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ვიდრე მომხრე. ყოველ ჯერზე იგი არა მარტო ურიცხვ წინააღმდეგობას, არამედ ელემენტარულად საქმის არსში ჩაწვდომის კატეგორიულ უარებს აწყდებოდა. ამის მიზეზი კი ჯერ კიდევ უწინდელ დროს იყო ცნობილი: ახალი ცნების შემოსვლა კაცთა ყოველდღიურ ყოფაში ძველი, უკვე ათწლეულების განმავლობაში დამჯდარი წესის უეჭველ რღვევას გამოიწვევდა, რაც „თბილად და ტკბილად მოყუჩებულ“ „მეცნიერ-ჩინოსნებს“ არაფერში აწყობდათ...

ჯუნა კი ამ დროს იმის გამო იტანჯებოდა, რომ მისი იშვიათი უნარი არც მედიცინას, არც, ზოგადად, მეცნიერებას არაფერში არ სჭირდებოდა... მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რომ იტყვიან, სანთელ-საკმეველმა თავის გზა არ დაკარგა: ჯუნა, როგორც იქნა, ჩარიცხეს რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, რომელზეც, როგორც წესი, მხოლოდ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონეთ იღებდნენ. მერე კი ინსტიტუტს მოსკოვის ცენტრში ძველ შენობაში ორი სართული გამოუყვეს, რომელშიც ის ლაბორატორია განთავსდა, სადაც ოფიციალურად დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამით დაიწყეს ბიოდენების ფენომენების შესწავლა, თუმცა კი თავდაპირველად აქ არა ჯუნა, არამედ ლენინგრადელი ნინელი კულაგინა მიიწვიეს, ვინაიდან ის მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ფიზიკური ველების მქონე ადამიანი იყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნ. კულაგინასთან ცდებს მის მშობლიურ ლენინგრადში დიდი ხანია ატარებდნენ, თანაც რამდენიმე ინსტიტუტში ერთდროულად, მაგრამ ამ ფაქტის გახმაურება არაფრით არ შეიძლებოდა – საბჭოთა ოფიციალური მეცნიერება ამგვარ „დასავლურ“ ფენომენებს, როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ, ცერად უყურებდა: არაკომპეტენტური, ხშირად, სათანადო განათლების არამქონე პირები, რომლებიც თავს ცრუმეცნიერებასთან მებრძოლებად, მატერიალისტური მსოფლმხედველობის ქურუმებად წარმოაჩენდნენ, უსაზღვრო ძალაუფლებას ფლობდნენ და რაც სურდათ, იმას აკეთებდნენ.

თავად განსაჯეთ: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ალექსანდროვი ჯუნა დავითაშვილისა და ნინელი კულაგინას ეფექტებს არ აღიარებდა იმ „მარტივი“ მიზეზით, რომ მათ შესახებ პუბლიკაციებმა **„უკვე აღძრეს საზოგადოებაში არაჯანსაღი ტენდენციები და ხალხი კვალიფიცირებული ექიმების მაგივრად ექიმბაშაებთან გარბის, რომლებიც მკურნალობის დადებით შედეგს ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფენ“.** მერე კიდევ მათი ამბავი... ჰალეის კომეტას შეადარა: „– გსმენიათ ოდესმე ამ კომეტის შესახებ? ჰოდა, თუ გსმენიათ, ისიც უნდა გქონდეთ შეგნებული, რომ მის შესახებ წერა არ შეიძლება, რათა მოსახლეობაში პანიკა არ აგორდეს. ხომ ვიცით, კომეტა დედამიწას უახლოვდება, თავის კუდს ის ჩვენ ან წამოგვდებს, ან არა, ხალხში კი შიში დაიბუდებს. განა ეს ვინმეს უნდა?“

* * *

ასე იყო თუ ისე, 1982 წლის 25 ნოემბერს ლაბორატორიულ პირობებში დაიწყო ფენომენების შესწავლა, რაშიც ჯუნა დავითაშვილის თავდადებამ და ენთუზიაზმმა უდიდესი როლი შეასრულა.

ბოლოს, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ 1983 წლის 31 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა მცირე, სულ 100-სტრიქონიანი წერილი, რომლის არსი ის იყო, რომ „ჯუნას ფენომენს მეცნიერები სწავლობენ“. თუმცა, ამ მცირე პუბლიკაციაში რამდენიმე პრინციპულად ახალი მომენტი იყო: თავად მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ალექსანდრე ალექსანდროვს გამოჰყავდა ჯუნა დავითაშვილი და მასთან ერთად, ყველა დანარჩენი ექსტრასენსი მისტიკის, ავანტიურებისა და ფოკუსების საძრახი სფეროებიდან და ოფიციალურ, სახელმწიფო, მაშასადამე კანონით დაცულ სივრცეში უჩენდა ადგილს. ამდენად, ფენომენები, რომლებსაც უწინ პარაფსიქოლოგიურ სასწაულებს და მედიცინას მიტმასნილ კატეგორიებს მიაკუთვნებდნენ, ამიერიდან ფიზიკის მეცნიერების კვლევის საგნად იქცეოდნენ და თუ პრეზიდენტი ამას გარკვეული სიფრთხილით აცხადებდა, ვიცე-პრეზიდენტს კი ნეიტრალური პოზიცია ეკავა და მისი პოზიციის ახსნა სხვადასხვანაირად შეიძლებოდა, წამყვან მეცნიერთა დიდმა ჯგუფმა ღიად განაცხადა, რომ ყველა ფიზიკური ველი თანამედროვე მეცნიერებას ჯერ კიდევ შესწავლილი არა აქვს, ამდენად დიდი აღმოჩენები ჯერ კიდევ წინ არის.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

დასასრული. დასაწყისი იხ. №12, 14, 15

„ძლიერი საპასუხო ძალები“...

ევროპაში სად არის ნატოს ძალები განლაგებული

24 იანვარს ნატომ განაცხადა, რომ საკუთარი ძალები მზადყოფნაში მოჰყავს და ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგს მეტი გემით, ასევე მოიერიშე თვითმფრინავებით აძლიერებს. გთავაზობთ მიმოხილვას, სად არის განლაგებული ნატოს ძალები.

ბალტიისპირეთი, პოლონეთი

ნატოს ესტონეთში, ლიეტუვაში, ლატვიასა და პოლონეთში, მრავალეროვან ბატალიონებში 4000 ჯარისკაცი ჰყავს განლაგებული, რომლებსაც ზურგს უმაგრებს ტანკები, საჰაერო დაცვა, სადაზვერვო და სათვალთვალო დანაყოფები.

ნატოს ამ ოთხ ქვეყანაში ასევე აქვს საჰაერო მეთვალყურეობის მისია და ამ ქვეყნების ცაზე პატრულირებს. მისიის ზედამხედველობა გერმანიაში განთავსებული რამშტეინის ავიაბაზიდან ხორციელდება. ნატოს შემადგენლობაშია ასევე ოთხი მრავალეროვნული მუდმივი საზღვაო ძალები, რომლებიც მოკავშირეებისა და საერთაშორისო წყლებში პატრულირებს, მათ შორის ბალტიის ზღვაში.

რუმინეთი, ბულგარეთი

რუმინეთში ნატოს 4000-მდე ჯარისკაცით დაკომპლექტებული მრავალეროვნული სახმელეთო ჯარი ჰყავს განთავსებული. საფრანგეთმა ბრიუსელს იქ მეტი ჯარის გაგზავნა შესთავაზა. ასევე, რუმინეთსა და ბულგარეთში განთავსებულ ცალკეულ ბაზებზე, ჯარისკაცები განლაგებული ჰყავს შეერთებულ შტატებს.

მოკავშირეები, ბულგარეთსა და რუმინეთში, ეროვნული საჰაერო პატრულირების დასახმარებლად, ასევე რეგულარულად გზავნიან მებრძოლთა რაზმებს.

საფრანგეთი

ევროპაში, საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო კომპონენტებს 2022 წელს, გერმანიასთან ერთად საფრანგეთი უდგას სათავეში. კომპონენტთა ერთობა ცნობილია, როგორც ძალიან მაღალი მზადყოფნის ერთობლივი სამუშაო ჯგუფი. ჯგუფი სულ მცირე 5000 ჯარისკაცს აერთიანებს და 72 საათში შეუძლია ოპერირება.

ჯგუფი ნატოს 40,000 ჯარისკაციანი „ძლიერი საპასუხო ძალების“ ყველაზე მაღალი მზაობის დანაყოფია.

აშშ-ის კონგრესის კვლევითი სამსახურის მიხედვით, დღეს ევროპაში 74 000 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეა განლაგებული. მაგრამ, ყველა ჯარისკაცი მოქმედ სამსახურში არ არის.

ბალკანეთი

მოკავშირეების და პარტნიორების დაახლოებით 3 500 ჯარისკაცი ოპერირებს კოსოვოში, ნატოს სამშვიდობო მისიის შემადგენლობაში.

მოკავშირეები, საჰაერო პატრულირების კუთხით მხარდაჭერას უწევენ ბალკანეთის შედარებით პატარა ქვეყნებს. სლოვენიის საჰაერო სივრცეს უნგრეთი და იტალია იცავს. ხოლო, ალბანეთსა და მონტენეგროს საბერძნეთი და იტალია ფარავს. ასევე იტალია აკონტროლებს ჩრდილოეთ მაკედონიის ცას.

ხმელთაშუა-ზღვისპირეთი

ნატოს აქვს საზღვაო მისია, „ზღვის მცველი“, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში პატრულირებს, მოკავშირეებს საზღვაო დაზვერვით უზრუნველყოფს და ასევე შეუძლია მონაწილეობა საზღვაო კონტრტერორისტულ ოპერაციებში.

ამერიკული ჯარები ევროპაში	
გერმანია	დაახლოებით 36 000 ჯარისკაცი
იტალია	დაახლოებით 12 000 ჯარისკაცი
ესპანეთი	დაახლოებით 3 000 ჯარისკაცი
თურქეთი	1600 ჯარისკაცი
პოლონეთი	4 500 ჯარისკაცი - არამუდმივი განლაგება

როდის შეიჭრება რუსეთი უკრაინაში?

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, ვენდი შერმანმა განაცხადა, რომ იმის ყველა ნიშანი არსებობს, რომ რუსეთი უკრაინაში შეჭრას თებერვლის შუა რიცხვებამდე აპირებს.

„არ ვიცი, რაზე ფიქრობს პუტინი, თუმცა ვიცი, რომ უკრაინის ტერიტორიაზე სამხედრო დანაყოფების კონცენტრაციის გეგმები არსებობს. ვფიქრობ, პრეზიდენტ პუტინს სხვა გეგმებიც აქვს. არ ვიცი, მიიღო თუ არა მან საბოლოო გადაწყვეტილება, თუმცა ჩვენ იმის ყველა ნიშანს ვხედავთ, რომ ის რაღაც დროში ძალის გამოყენებას აპირებს: ახლა ან შესაძლოა, თებერვლის შუა რიცხვებში“, — აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ.

24 იანვარს, პენტაგონში განაცხადეს, რომ თავდაცვის მდივანმა ლოიდ ოსტინმა 8 500-მდე ჯარისკაცი გაძლიერებულ მზადყოფნაში მოიყვანა, რათა საჭიროების შემთხვევაში, ევროპაში გადასროლისთვის მზად იყვნენ. უკრაინაში და მის გარშემო რუსეთის სამხედრო აქტიურობის ფონზე, ნატო აღმოსავლეთ ევროპაში დამატებით ძალებს აგზავნის. ევროკავშირი მზად არის, რუსეთს აქამდე არნახული ეკონომიკური სანქციები დაუწესოს, თუ ის უკრაინას თავს დაესხმება.

მშვიდობიანი მოსახლეობის წვრთნები

უკრაინის შსს მშვიდობიანი მოსახლეობისთვის მასშტაბურ წვრთნებს გამართავს. უწყების ხელმძღვანელის, დენის მონასტირსკის განცხადებით, აქცენტი ფეთქებადსაშიშ ნივთებთან უსაფრთხო მოპყრობის საკითხზე გაკეთდება. წვრთნებს გამართავენ ინსტრუქტორები, რომლებმაც მანამდე კომპლექსური მომზადება დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, კანადასა და პოლონეთში გაიარეს.

წვრთნები ქვეყნის რამდენიმე რეგიონში ჩატარდება. გარდა ამისა, შემოწმდება დასახლებულ პუნქტებში სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემა.

რუსეთი ესპანეთს სანქციებით ემუქრება

ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა, პედრო სანჩესმა განაცხადა, რომ თუ რუსეთი უკრაინაში რაიმე სახის სამხედრო ინტერვენციას დაიწყებს, ამას უზარმაზარი ეკონომიკური შედეგები მოჰყვება.

კრემლს კი სანქციების არ ეშინია

რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინისთვის სანქციების დაწესება მას არ დააზარალებს, თუმცა პოლიტიკურად დესტრუქციული ნაბიჯი იქნება.

დიმიტრი პესკოვის განცხადებით, ამერიკელი კონგრესმენები და სენატორები, რომლებიც რუსეთის უმაღლესი ლიდერების წინააღმდეგ პერსონალურ სანქციებს განიხილავენ, უგულებელყოფენ იმ ფაქტს, რომ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს საზღვარგარეთ აქტივების, ქონებისა და საბანკო ანგარიშების ფლობა ეკრძალებათ.

„პუტინის წინააღმდეგ ინდივიდუალური სანქციები მტკივნეული არ იქნება, თუმცა პოლიტიკურად დესტრუქციული იქნება“, — აღნიშნა კრემლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.



უკრაინამ გერმანიისგან ჩაფხუტები მიიღო

გერმანია უკრაინას 5 000 სამხედრო ჩაფხუტს მიაწვდის. ამის შესახებ გერმანიის თავდაცვის მინისტრმა კრისტინ ლამრეხტმა განაცხადა.

„წერილი მივიღე უკრაინის საელჩოდან, რომელიც სამხედრო აღჭურვილობის მიწოდების თხოვნას შეიცავდა. ჩვენ უკრაინას 5 000 ჩაფხუტს მივაწვდით. ეს მკაფიო სიგნალია: თქვენს გვერდით ვართ“, — აღნიშნა გერმანიის თავდაცვის მინისტრმა.

რუსეთს უკრაინასთან ომი ძვირად დაუჯდება...

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი რუსეთის აგრესიასთან დაკავშირებით მკაცრ გაფრთხილებას ავრცელებს და აცხადებს, რომ რუსეთს უკრაინასთან ომი ძვირად დაუჯდება.

ჯონსონის თქმით, თუ პუტინი აგრესიულ განზრახვაზე უარს არ იტყვის, ბევრი რუსი ჯარისკაცი დედას სახლში ცოცხალი ვეღარ დაუბრუნდება. ბრიტანეთის პრემიერი პუტინს აფრთხილებს, რომ რუსეთი გაითიშება საერთაშორისო ტრანსაქციების ქსელიდან, ე.წ. სვიფტიდან, და სანქციების ამ ვარიანტს ლონდონი ვაშინგტონთან ერთად განიხილავს.

აშშ ბელარუსს აფრთხილებს!

აშშ ბელარუსს აფრთხილებს, რომ თუ რუსეთს უკრაინაში ბელარუსის ტერიტორიიდან შეჭრაში დაეხმარება, ამას აშშ-სა და მისი მოკავშირეების მხრიდან „სწრაფი და მტკიცე“ რეაგირება მოჰყვება.

„ჩვენ ასევე ნათლად ავუხსენით ბელარუსს, რომ თუ ის უკრაინაზე თავდასხმისთვის თავის ტერიტორიის გამოყენებას დაუშვებს, ამას მოჰყვება სწრაფი და მტკიცე პასუხი აშშ-სგან და ჩვენი მოკავშირეებისა და პარტნიორებისგან. თუ შეჭრა ბელარუსიდან განხორციელდება, თუ რუსული ჯარები მათ ტერიტორიაზე მუდმივ საფუძველზე განლაგდებიან, NATO-ს ბელარუსის მოსაზღვრე ქვეყნებში ჩვენი ძალების განლაგების გადახედვა მოუწევს“, — აცხადებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი ნედ პრაისი.

ეს ყველაფერი თაღლით საქმოსანთა შეკრული წრეა!

მას შემდეგ, რაც პრემიერმა დააანონსა, რომ თურქეთიდან მაღალი ხარისხის GMP (ანუ კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტის მედიკამენტები შემოვა, რაც წამლების ფასს მნიშვნელოვნად გააიაფებს, ცალკეულმა ჯგუფებმა დაიწყეს ადამიანების დაშინება იმით, რომ თურქეთი უხარისხო წამლებს ყიდის, იქ მაღალია ფალსიფიცირების შემთხვევები და მათი შეძენის შემთხვევაში პაციენტებს ხელახლა მოუწევთ ძვირადღირებული მედიკამენტების შეძენა სხვა ქვეყნიდან. ეს კი პაციენტების ბიუჯეტს გაცილებით დააზარალებს.

ვინ ავრცელებს ასეთ ხმებს და რას მოგვიტანს თურქული მედიკამენტების ბაზარი?! ამ პრობლემის შესახებ for.ge დამოუკიდებელ ექსპერტს, მედიკოს მარინა ბერაძეს ესაუბრა.

სწორედ ფარმაცევტული კომპანიების მეპატრონეები არიან კლინიკების და სადაზღვევო კომპანიების მფლობელები, რომლებთანაც მუშაობენ ოჯახის ექიმები

— მართალია, საქართველოში იმპორტირებული მედიკამენტების დაახლოებით მესამედი თურქულ ბაზარზე მოდის, მაგრამ ცალკეულ ადამიანებს მაინც უჩნდებათ კითხვა, მაინცდამაინც თურქეთიდან რატომ უნდა მოხდეს იაფი წამლების შემოტანა, ნუთუ არ არსებობს სხვა ქვეყნის ხელმისაწვდომი ბაზარი, რათა სანდოობაც მაღალი იყოს და ხარისხშიც არ მოვტყუვდეთ? გვაქვს კი ქვეყანაში შესაბამისი ლაბორატორია, რომელიც მედიკამენტების ხარისხს გააკონტროლებდა?

— შეიძლება ასეთი კითხვაც გაჩნდეს და მადლობა ამ კითხვისთვის. ფაქტია, ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენ არ გვაქვს სახელმწიფოს კუთვნილი ლაბორატორია, რომელიც მედიკამენტების ხარისხს შეამოწმებდა. ყოფილმა მინისტრმა **ეკატერინე ტიკარაძემ** გამოაცხადა, რომ მსგავსი ლაბორატორიის შექმნაზე უკვე დაწყებულია მოქმედებები. დღეს თუ ხვალ ასეთი ლაბორატორია უნდა გვქონდეს, რადგან მისი საჭიროება დაინახეს. რაც შეეხება შიშს, რომ თურქეთიდან შეიძლება ჩამოვიდეს უხარისხო მედიკამენტები, ნამდვილად არ ვფიქრობ ასე. თუ უხარისხო მედიკამენტზეა საუბარი, მაშინ, ამავე ალბათობით, შეიძლება სხვა ქვეყნიდანაც შემოვიდეს უხარისხო მედიკამენტი და არა მაინცდამაინც თურქეთიდან.

მედიკამენტების შემოტანა თურქეთიდან კარგი იქნება თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ კონკურენციის შესაძლებლობა იქნება, რადგან ახალი მოთამაშე გაჩნდება ფარმაცევტულ ბაზარზე. შეიძლება, ეს ვიღაცას არ აწყობს და აქედანაც მოდის ეს შიში, თითქოს თურქული წამლები უხარისხოა. ჩვენთან მედიკამენტები რომ შემოდის, ცხადია, საწამლავი არ შემოვა. მართალია, ლაბორატორია არ გვაქვს, მაგრამ ელემენტარული წესები არსებობს, მედიკამენტი საერთაშორისოდ აღიარებული თუ არ არის, ისე არ შემოვა, ვერ მიიღებს თანხმობას, ეს არის საერთაშორისო მოთხოვნა, ასე ხდება სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ მედიკამენტებზეც, ჩვენ ვეთანხმებით საერთაშორისო აღიარებას და შემოგვაქვს ცალკეული მედიკამენტები. ჯერჯერობით ეს არის, რა ბერკეტიც გაგვაჩნია. ამიტომ ამ თვალსაზრისით საშიშროებას ვერ ვხედავ.

— სხვა ქვეყნებშიც თუ არის იაფი მედიკამენტები?

— ჩვენთან შედარებით ყველგან იაფი მედიკამენტებია, მაგრამ თურქეთი ყველაზე დიდი ექსპორტიორია ჩვენი ქვეყნისთვის. ბარიერი შეიძლება უფრო ნაკლები იყოს სწორედ თურქეთიდან შემოტანის დროს. ჩვენი მოქალაქეები ისედაც ჩვეულებრივ სარგებლობდნენ თურქული მედიკამენტების ბაზრით, ჩვეულებრივად გადადიოდნენ ბათუმიდან, სარფის გავლით, თურქეთში ყიდულობდნენ მედიკამენტს და გაცილებით იაფად გადმოჰქონდათ, ეს კარგი საშუალება იყო და არავის შეჰპარვია ეჭვი მედიკამენტების ხარისხში. ბოლო პერიოდში ეს აიკრძალა, საზღვარზე დაიწყეს ამ ადამიანების შემოწმება და ფასთა ნამატს ახდევინებდნენ, ანუ ამატებინებდნენ იმ ფასის სხვაობას, რომელიც საქართველოში ჰქონდა კონკრეტულ მედიკამენტს. ამის გამო, ფაქტობრივად, აზრი დაკარგა თურქეთიდან მედიკამენტების შემოტანამ, რადგან ჩვენს საზღვარზე უმატებდნენ თანხას. ამის შესახებ ინფორმაცია გამოკითხვის შედეგად მაქვს, ეს ფაქტი არავისთვის დამალული არაა, ყველა ბათუმელმა იცის. არის მედიკამენტები, რომელთა გამოწერაც, მაგალითად, გულსისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტებისთვის, ექიმის მიერ ხდება. ოჯახის ექიმი წერს წამალს, რომლის ფასი დაახლოებით 300-დან 400 ლარამდეა. თუ ფორმა 100-ით გამოწერს ოჯახის ექიმი წამალს, მიდიხარ აფთიაქში, აფთიაქი აკეთებს შეკვეთას თურქეთში და ერთი თვის განმავლობაში ჩამოდის თქვენს მიერ გამოწერილი მედიკამენტი, რაც დაახლოებით 80 ლარი ჯდება. ასეთი განსხვავებაა ფასებში. ეს აქამდეც ხდებოდა კერძო სტრუქტურის გავლით და ახლა სახელმწიფო გააკეთებს ამას.

— რამდენად მართალია, რომ არა მარტო ფარმაცევტული კომპანიები გადიოდნენ ზემოგებაზე, ანუ 1000%-იან მარჟაზე, არამედ ოჯახის ექიმებიც სპეციალურად უწერდნენ პაციენტებს ძვირადღირებულ მედიკამენტებს და ეს ერთგვარი შეკრული წრე იყო?

— ოჯახის ექიმის საშუალებით ხდება წამლის გამოწერა და გაყიდვა, ოჯახის ექიმი ეკუთვნის კლინიკას, კლინიკა კი ეკუთვნის ფარმაცევტულ კომპანიას, ანუ ეს ყველაფერი აქამდე ერთად იყო. ღონისძიება, რომელიც პრემიერის დავალებით უნდა გატარდეს და დაანონსებულია, მისასალმებელია. შემდეგ გაკეთდა კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელის კომენტარი ამ საკითხზე, მათ მიერ მიმართულებები სწორადაა გამოკვეთილი, ეს ყველაფერი სისტემური ცვლილებების განხორციელებას მოითხოვს. უნდა გვქონდეს ლაბორატორია, რომელიც დაგვიდასტურებს, რომ შემოტანილი მედიკამენტი კარგია, ასევე, საკანონმდებლო ბაზა უნდა დაიხვწოს, ბევრი რამ შესასწორებელია კანონში, რომ ძლიერი საკანონმდებლო ბაზა გვქონდეს, როგორიცაა განვითარებულ ქვეყნებში. არავის მითითება ჩვენ არ გვჭირდება.

— ამბობენ იმასაც, რომ თურქული მედიკამენტის შეძენის შემთხვევაში, თუკი ის უხარისხოა, ადამიანს გაცილებით მეტი ფასი დაუჯდება მკურნალობა, რადგან მაინც მოუწევს ძვირადღირებული მედიკამენტის შეძენა სხვა ქვეყნიდან. ესეც საგანგებოდ გავრცელებული ხმებია ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან?

— დიახ, ეს გავრცელებული ხმებია. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ნიჭიერი ხალხია, ვისაც ფარმაცევტული ბიზნესი აქვს. რა თქმა უნდა, თუ ისინი აქამდეც მოგებას ნახულობდნენ, გამოსავალს ამ შემთხვევაშიც იპოვიან. სინამდვილეში, ნებისმიერ ადამიანს 400 ლარის გადახდას 80 ლარის გადახდა ურჩევნია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სწორედ ამ ფარმაცევტული კომპანიების მეპატრონეები არიან კლინიკების და სადაზღვევო კომპანიების მფლობელები. ამიტომ საკანონმდებლო ბაზის დახვეწა გულისხმობს იმას, რომ არ მოხდეს პრემიერის კარგი ინიციატივის გაფუჭება.

— თუკი გავითვალისწინებთ, რომ ფარმაცევტული კომპანიები გადიოდნენ ზემოგებაზე, შეიძლება მათ გაუჩნდეთ შიში, რომ თურქეთიდან იაფი მედიკამენტების ჩამოტანის შემდეგ ისინი შეიძლება გაკოტრდნენ?

— არავითარი გაკოტრება მათ არ ელით, უბრალოდ, შეიძლება მილიარდები ვეღარ გააკეთონ! ისინი მარტო ერთი ქსელის მეპატრონეები არ არიან, ისინი მთელი სისტემის მფლობელები არიან, ფაქტობრივად, ერთი სუბიექტის ხელშია ყველაფერი. ერთდროულად ვერ გაკოტრდება საავადმყოფოც, ფარმაცევტული კომპანიაც, სადაზღვევოც, მაინც გადაირჩენენ თავს. თუ ყველაფერი დალაგდება ისე, როგორც მე წარმომიდგენია, ეს იქნება ის ფორმა, რომლითაც მუშაობს მთელი განვითარებული ევროპა.

— აქამდე კითხვებს აჩენდა ისიც, რომ თვით საქართველოში წარმოებული მედიკამენტებიც კი მეზობელ სომხეთში გატანისას გაცილებით იაფი ღირდა, ვიდრე საქართველოში.

— ეს იმიტომ, რომ იქ კანონმდებლობით საცალო და საბითუმო ფასები გამიჯნულია, ჩვენთან, პრაქტიკულად, გაუმიჯნავია. ამიტომაც არ არიან მოთამაშეები ამ ბაზარზე და სულ სამი კომპანიაა წამყვანი. ეს არ არის ჯანსაღი კონკურენცია და სასურველია, კონკურენციის სააგენტომ ამ ყველაფერზე ყურადღება გაამახვილოს. ჩვენ უნდა ვიყოთ განწყობილნი იმისკენ, რომ შეიძლება კარგი ცვლილებები განხორციელდეს და თან უნდა ვიყოთ ყურადღებით, რადგან უკვე გამოცდილებაც გვაქვს და ვიცით, ნებისმიერი კარგი იდეა შეიძლება გაფუჭდეს ისე, რომ ვერც განხორციელდეს.

— აქამდე საიდან შემოგვქონდა მედიკამენტები?

— თურქეთიდანაც, ინდოეთიდანაც, სხვადასხვა ქვეყნიდან, ან შემოდის ნახევრად ფაბრიკატი და შემდეგ საქართველოში ხდება დაფასოება. ეს ძალიან რთული სქემაა.

მანანა ნოზაძე

რძისა და რძის პროდუქტების ფასი მატულობს

საქართველოში რძისა და რძის პროდუქტების ბაზარზე წარმოებასთან დაკავშირებით დიდი პრობლემაა. ბოლო რამდენიმე თვეა, ფასები მატულობს და 1 ლ რძის ფასი უკვე 5 ლარია, მეტნაკლებად შენარჩუნდა ინდუსტრიული რძის ღირებულება, თუმცა ისიც იმის ხარჯზე, რომ წარმოება თითქმის მასობრივად რძის ფხვნილს იყენებს.

როგორც აგროექსპერტთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ჭიჭაყუა „კომერსანტთან“ ამბობს, ფასების ზრდა ძირითადად სეზონურ ცვლილებას უკავშირდება, თუმცა ნედლეული ძვირდება გლობალურ ბაზრებზე. ორივე ფაქტორი ერთად საქართველოში რძისა და რძის პროდუქტების ბაზარზე მკვეთრად ნეგატიურ გავლენას ახდენს.

„იანვრიდან რძის წარმოებასთან დაკავშირებით პრობლემა მუდმივად იჩენს თავს, ამ დროს რძის წარმოება დაბალია და ფასიც შესაბამისად მატულობს. გარდა ამისა, რძე ძვირდება გლობალურ ბაზრებზეც, ჩინეთი ევროპიდან რძისა და რძის პროდუქტების დიდი შემსყიდველია, განსაკუთრებით იანვრიდან სადღესასწაულო პერიოდთან დაკავშირებით. როგორც ვიცით, ჩინური ახალი წელი 15 თებერვლამდე გრძელდება და ესეც ახდენს გავლენას მოთხოვნის ზრდაზე. პრობლემას აქვს მეორე მხარეც, ჩვენ გვაქვს ძირითადად მოსახლეობისგან შესყიდული რძე და ინდუსტრიული, რომელიც მთელი წარმოების 5%-ის დონეზეც არ არის. ზამთრობით კი პირუტყვის კვება ძვირდება და მცირდება წველადობა, რაც ასევე დიდი პრობლემაა“, — ამბობს მიხეილ ჭიჭაყუა.

მისი თქმით, სეზონური ცვლილების დროს, წესით, გაზაფხულიდან პროდუქტი უნდა გაიაფდეს, მაგრამ ამ ეტაპზე ის მოცემულობაა, როცა ფასების შემცირების არანაირი წინაპირობა არ არის, პირიქით, არ არის გამორიცხული, რძე კიდევ გაძვირდეს, რადგან ნატურალურ ნაწარმთან ერთად, მატულობს რძის ფხვნილის ფასიც, მსოფლიოში ამ პროდუქტებზე მოთხოვნა დიდია, თვითონ მომავალი რძის ბაზარზე მაღალი ფასებით იქნება გამორჩეული. 10-13%-ით უკვე მოიმატა ფასმა, მთავარია კატასტროფულად არ გაძვირდეს. თუმცა ტენდენცია მზარდია, მით უმეტეს, ტურისტული სეზონი თუ იმუშავებს და მოთხოვნა გაიზრდება, ფასზეც ადეკვატურ გავლენას მოახდენს.

საქართველოში რძის პროდუქტების ბაზრის პრობლემა დიდწილად გამოწვეულია იმითაც ხდება, რომ საძოვრების არასწორი მართვა. შესაბამისად, პოტენციალს ვერ ვიყენებთ, ამიტომ გამოსავალიც ანალოგიურია — სწორი მართვა და ისეთი აგროპოლიტიკის შემუშავება, რაც მცირე ფერმერების და ზოგადად, საოჯახო მეურნეობის როლს გააქტიურებს. მიხეილ ჭიჭაყუას ინფორმაციით, საქართველოში წლიურად 600-700 მილიონი ლიტრი რძე იწარმოება, თუმცა მოთხოვნა 1,1 მილიარდი ლიტრია. რძესთან ერთად, გაძვირდა ყველა დასახელების ყველი, მათ შორის, იმერულის ფასმა 17 ლარს მიაღწია, ხოლო სულგუნი 25 ლარზე იაფად უკვე არ იყიდება.

მარი ჩიტაია

◎ წინ, საქართველო!

ისტორია ფუტსალშიც დავწერეთ!

გილოცავთ! ევროპის ჩემპიონატების დებიუტანტი საქართველოს ფუტსალის ნაკრები მეოთხედფინალშია!

დიახ, საამაყო ფაქტია და ვამაყობთ კიდეც, მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და უახლოესი წარსული გავიხსენოთ – რა ფუტსალი აუტყდათ, როცა ნაღდი ფეხბურთის თამაში დავიწყეთ, ან კიდევ – რაში ვფანტავთ ფულს, ქართველები გაგებაში არა ვართ და „ჭ“ კლასის ბრაზილიელებს ვუქმნით სასათბურე პირობებსო, თანაც სფფ-ს მესვეურებზეც შაყირობდნენ.

რას ვიზამთ – საქმის მკეთებელ ხალხზე ქილიკი ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი და დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, როგორც კი იმ ბიჭებს, ვისაც დღეს დითირამბებს ვუძღვნით, ფეხი დაუცდებათ, ბევრნი ისევ ნაცნობ ფირფიტას შემოგვთავაზებენ და, როგორც კაცუნებს სჩვევიათ, ჩასაფრებულის პოზიციიდან ჩაუყრიან წყალში ამაგს წლევანდელი ისტორიული წარმატების შემოქმედთ. მანამდე კი...

საქართველო - ბოსნია 2:1

პირველი ტაიმი 0:1

გოლები: კლეჟევიჩი (მე-7 წთ), თალესი (25-ე წთ), ბრუნო პეტრი (28-ე წთ).

რამდენჯერ გვსმენია – დიდი მწვრთნელები მეორე ტაიმს იგებენო. თუ ამ აქსიომას ვირწმუნებთ, **ავთანდილ ასათიანს** არათუ სპორტული, არამედ სახელმწიფო ჯილდოეკუთვნის, რადგან ნიდერლანდების ქალაქ გრონინგენში აზერბაიჯანელთა შემდეგ ტაიმბოლი ბოსნიელებსაც დაუსვა (ამ შემთხვევაში იძულებულნი ვართ ტოტალიზატორის ტერმინებს მივმართოთ, სადაც ჩვენს გუნდს ბუკმეკერებმა ფავორიტის შესაბამისი ფსონი დაუდეს).

უნდა ვაღიაროთ, რომ პირველ ტაიმში მეტოქემ ნაღდად გვაჯობა და ამ მატჩის უდავო გმირს – მეკარე **კუპატაძეს** უნდა ვუმადლოდეთ, მხოლოდ მინიმალური უპირატესობა რომ დაიმსახურა. ვითარება კიდევ უფრო გაგვირთულა **ელისანდროსა** და, მოგვიანებით – შესვენების შემდეგ – **თოფურიას** ტრავმებმა, მაგრამ...

ვერ გეტყვით, როგორ გაუშიფრა „ჯვაროსნებს“ ბალკანელთა ავ-კარგი მათმა თავკაცმა, მაგრამ ბრძოლის განახლების შემდეგ რომ სარბიელზე სულ სხვა ნაკრები გამოვიდა, ეკრანიდანაც ჩანდა, ამიტომ სავსებით ლოგიკური გახლდათ, მალევე რომ დავწინაურდით და ღირსეულად მივიყვანეთ საქმე ზედიზედ მეორე გამარჯვებამდე.

და ბოლოს: რადგან წერილი ურწმუნო თომებზე საუბრით დავიწყეთ, ამავე თემითვე დავასრულოთ – სტარტზე ესპანელებთან 1:5 კრახის შემდეგ არაერთი ყოვლისმცოდნე ექსპერტი აცხადებდა – ბოსნიელებმა ფავორიტთან, როგორც თავიდანვე განწირულებმა, ძალები დაზოგეს და ენერგია ჩვენთვის შემოინახესო. საინტერესოა, ისევ იმ ჭკუაზე არიან?

რაც შეეხება ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩს, მან ზოგ-ზოგიერთთა კიდევ ერთ ვერსიას გასცა პასუხი, რომ თითქოს სასტარტო შეხვედრაში აზერბაიჯანელები კორონავირუსით სამი ლიდერის დასნეულების გამო შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდნენ ქართველებთანო. ჰოდა, ადგა ეს შესუსტებული მეზობელი, ორჯერ დაწინაურდა ესპანეთთან და საბოლოოდ მსოფლიო ფუტსალის ერთ-ერთ გრანდს ძვირფასი ქულები ააწაპნა – 2:2.

საქართველო – 6, ესპანეთი – 4, აზერბაიჯანი – 1, ბოსნია – 0 ქულა.

ხვალ 20 საათსა და 30 წუთზე: საქართველო – ესპანეთი, აზერბაიჯანი – ბოსნია.

◎ ფეხბურთის სამშობლოში

დიდი პატივი!

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის საუკეთესო ბომბარდირი შოთა არველაძე სამწვრთნელო კარიერას ნისლიან ალბიონზე გააგრძელებს!

48 წლის „ტყუპმა“ ორი სეზონის განმავლობაში დაისვენა და თურქი მეგობრისა და „ჰალის“ მფლობელის აჯუნ ილიჯალის წინადადებით ჩემპიონ შიფის ერთ-ერთი აუტსაიდერის „ჰალის“ თავკაცობას დათანხმდა.

წლეულს „ვეფხვებს“ დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევთ ბრძოლა, გაისად კი კლუბის ამბიციური პრეზიდენტის პროექტს უნდა შეასხან ხორცი და პრემიერლიგაში დასაბრუნებლად შეძლონ შეუძლებელი.

ზემოთ ბოსფორელი ბიზნესმენი ვახსენეთ და მისი ამბიციები რომ საფუძვლიანია, 53 წლის ერთ დროს რიგითი რეპორტიორის ბიოგრაფიაც მოწმობს: განაგებს ორ თურქულ ტელეარხსა და ციფრულ პლატფორმას, არის ტელეწამყვანი, მეწარმე, სამშობლოს ფარგლებს გარეთ კი მისი საპროდიუსერო კომპანიები საქმიანობენ აშშ-ში, მექსიკაში, უნგრეთში, რუმინეთში, ბრაზილიაში, კოლუმბიასა თუ საბერძნეთში.

დავძენთ, რომ აჯუნ ილიჯალი ინვესტიციებს ჯანდაცვაში, კოსმეტიკაში, ციფრულ პლატფორმებში, განათლებაში, ტექსტილსა და ელექტრონულ კომერციაში ახორციელებს, ხოლო მისმა კომპანიებმა მრავალი ფილმი გადაიღეს, მათ შორის დოკუმენტური – თვით ერთ-ერთ წარმატებულ ოსმალო ადამიანზე.

ვფიქრობთ, საზოგადოება შოთა არველაძის სასახელო წარსულის მიღწევებსაც სიამოვნებით გაიხსენებს: საქართველოს ჩემპიონი (4) და თასის მფლობელი (4), თურქეთის თასისა და სუპერთასის მფლობელი, ჰოლანდიის ჩემპიონი და თასის მფლობელი, შოტლანდიის ჩემპიონი (2), თასისა (2) და ლიგის თასის მფლობელი. აღარაფერს ვამბობთ უამრავ ინდივიდუალურ ტიტულზე.

მოკლედ, ახალ გამოწვევასთან ღირსეული გამკლავება ვუსურვოთ ქართველ მწვრთნელს, რომელმაც ახალ ამპლუაში წარმატებები უკვე მოიპოვა უზბეკურ „ფახთაქორში“ მოღვაწეობისას.

◎ თანამშრომლობა

ტრადიცია გრძელდება

ახალი წელი „საბურთალოსა“ და პოპულარულ ესპანურ გრანდ „ვალენსიას“ შორის 3-წლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებით დაიწყო, რომელიც, დარწმუნებულნი ვართ, ქართულ-პირენეული კულტურის კიდევ უფრო დაახლოებასაც შეუწყობს ხელს.

ტარიელ ხეჩიკაშვილი („საბურთალოს“ დამფუძნებელი) – „ტრადიციული ურთიერთობის განმავლობაში ჩვენს კლუბში უკვე მუშაობდნენ ესპანელი მწვრთნელები, მენეჯერები, აგრეთვე თამაშობდნენ იქაური ფეხბურთელები.

მათი საქმისადმი მიდგომა და პროფესიონალიზმი ის ფაქტორებია, რამაც ახალი პრიორიტეტები უნდა განსაზღვროს: დიდი ყურადღება მიექცევა ბავშვთა აკადემიას, ცოდნას გაიღრმავებენ მწვრთნელები, სტაჟირებაზე გაემგზავრებიან ნიჭიერი ფეხბურთელები და მუდმივი კომუნიკაცია დამყარდება აკადემიისა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის“.

შონ ბაი („ვალენსიას“ გენერალური დირექტორი). – „საერთაშორისო პროექტების სისტემატურ ძიებაში ვართ და ჩვენთვის დიდი პატივია „საბურთალოსთან“ დაძმობილება. ეს ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია და მწამს, მომავალში უფრო მასშტაბურ თანამშრომლობაზე გადავალთ.“

◎ ოვალური ბურთი

უკვე - შავ კონტინენტზეც

ამიერიდან „ბორჯღალოსანთა“ ქომაგების ყურადღება სამხრეთ აფრიკისკენაც იქნება მიპყრობილი, სადაც პირველი ქართული ფრენჩაიზი „შავი ლომი“ ევროპის სუპერთასის პარალელურად ქარის თასის პირველ დივიზიონშიც ითამაშებს.

იქაურ პროვინციათა ჩემპიონატი 26 მარტს დაიწყება და ღიას სტატუსიც შეგვიძლია მივანიჭოთ, რადგან ადგილობრივი გუნდების გარდა ჩვენებურთა მეტოქეები ზიმბაბვე, ნამიბია და კენია იქნებიან.

დავძენთ, რომ ტურნირის ფორმატი და კალენდარი მოგვიანებით დაზუსტდება, უმაღლეს – პრემიერ დივიზიონში კი, რომელმაც სტარტი 14 იანვარს აიღო, მხოლოდ მასპინძელთაგან საუკეთესო დაწინაურდება.

◎ ტატამზე

პარიზში - გრანდ სლემზე...

სეზონის პირველი ტურნირი – პორტუგალიის გრან პრი იანვრის ბოლოს ქალაქ ალმადაში გაიმართება, მასზე გაცილებით პრესტიჟულ – პარიზის გრანდ სლემს კი საფრანგეთის დედაქალაქი 5-6 თებერვალს უმასპინძლებს 50-ზე მეტი ქვეყნის 350-მდე ძიუდოისტის მონაწილეობით.

ჯერჯერობით „ჯვაროსანთაგან“ 13 წარმომადგენელია დარეგისტრირებული, მაგრამ, ალბათ, **ლაშა გუჯეჯიანის** გუნდის შემადგენლობა დარჩენილ დროში შეიცვლება კიდეც და ტატამის ქალი ოსტატებითაც გაიზრდება.

საქართველოს ნაკრები

60 კგ – ჯაბა პაპინაშვილი, თემურ ნოზაძე;

66 კგ – ვაჟა მარგველაშვილი, ბაგრატ ნინიაშვილი;

73 კგ – ლაშა შავდათუაშვილი;

81 კგ – ვლადიმერ ახალკაცი, ტატო გრიგალაშვილი;

90 კგ – ლუკა მაისურაძე, ბექა ღვინიაშვილი;

100 კგ – ილია სულამანიძე, ონისე სანებლიძე;

+100 კგ – გელა ზაალიშვილი, გურამ თუშიშვილი.

დავძენთ, რომ ეს უკანასკნელი ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ პირველად მოირგებს კიმონოს.

◎ ყატარი – 2022

პირველივე დღეს - 1,2 მილიონი!

უკვე დაიწყო და 8 თებერვლამდე გაგრძელდება წლევანდელი მუნდიალის (21 ნოემბერი – 18 დეკემბერი) მატჩებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციის პირველი ეტაპი, მეორე კი ყატარული ფორუმის ფინალური რაუნდის წილისყრამდე (1 აპრილი) აიღებს სტარტს და გულშემატკივრები მაშინ ბილეთებს „ცოცხალი რიგის“ რეჟიმში ადგილზევე შეიძენენ.

აღსანიშნავია, რომ პირველივე დღეს ფიფაში მილიონ 200 ათასი განაცხადი შევიდა, მოთხოვნათა რაოდენობით კი მასპინძლები, არგენტინელები, მექსიკელები და ამერიკელები ლიდერობენ. არანაკლებ შთამბეჭდავია ფინალურ მატჩზე დასწრების მსურველთა რიცხვი – 140 ათასი მხოლოდ ერთ დღეში.

დავძენთ, რომ ჯგუფური ეტაპის შეხვედრებზე ბილეთების ღირებულება 69-დან 220 დოლარამდე მერყეობს (უცხოელთათვის) და 11 დოლარია ადგილობრივებისათვის, ხოლო ფინალზე შესაბამისად 604-დან 1600-მდე და 206 დოლარი.

სხვათა შორის, მექსიკის 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის (3 დოლარი) შემდეგ წლევანდელ ფორუმზე მასპინძელთა ქომაგები ბილეთებს ყველაზე იაფად შეიძენენ.

მოკლედ

კალათბურთი. ნბა. რეგულარული სეზონი. „ინდიანა“ – „შარლოტა“ 126:158. **გოგა ბითაძე** – 17 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი.

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ვაჟები. დღეს ნახევარფინალში ითამაშებენ: რაფაელ ნადალი – მატეო ბერეტინი, სტეფანოს ციციპასი – დანიილ მედვედევი.

წყალბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური რაუნდი. „ტელეკომი“ (ბუდაპეშტი) – „დინამო“ (თბილისი) 16:10.



ფეხბურთი. აფრიკის ეროვნებათა თასი. მეოთხედფინალური წყვილები. კამერუნი – გამბია, სენეგალი – ეკვატორული გვინეა, ტუნისი – ბურკინა – ფასო, ეგვიპტე – მაროკო.

საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მხოლოდ 15 პროცენტს აქვს გავლილი ტექნიკური შემოწმება!

ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვანელმა დავით მესხიშვილმა „კომერსანტს“ აცნობა, რომ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 54 000 ერთეული რეგისტრირებული ავტობუსი და მიკროავტობუსიდან ტექინსპექტირება, 2021 წლის ივლისის მდგომარეობით, მხოლოდ 1602-ს ჰქონდა გავლილი.

მისივე თქმით, საქალაქთაშორისო ტრანსპორტის ტექნიკურ მდგომარეობაზე კვლევა ორგანიზაციამ 2021 წელს ჩაატარა და აღმოჩნდა, რომ მგზავრთა გადაყვანა რეგიონების მიმართულებით უმეტესად ხდება ამორტიზებული მიკროავტობუსებით, რომელთაგან ზოგი სამგზავროდ გადაკეთებული სატვირთოა.

როგორც მესხიშვილი ვარაუდობს, ეს ის კატეგორიაა, რომელიც ტექნიკურ შემოწმებას თავს არიდებს, ვინაიდან სტანდარტს მინიმალურ დონეზეც ვერ აკმაყოფილებს.

„მიკროავტობუსების უმეტესობა, რომელსაც მგზავრები გადაჰყავს, არასტანდარტულია, გადაკეთებული სატვირთოა! ისინი ნებისმიერ ადამიანს უქმნიან საფრთხეს, ვინც ყოველდღიურად ასეთი ტრანსპორტით გადაადგილდება. ჩვენი კვლევით, რომელიც ეხებოდა საზოგადოებრივ საქალაქთაშორისო ტრანსპორტს, 2021 წლის მონაცემით, აქტიური სტატუსით 54 000 ერთეული იყო რეგისტრირებული. მათ შორის, 23 778 ავტობუსი, დანარჩენი — 30 222 მიკროავტობუსია. 2020 წლის 1 ივლისიდან 2021 წლის 1 ივლისამდე მათგან მხოლოდ 15% გამოცხადდა ტექინსპექტირებაზე, რაოდენობრივად ეს არის 1602 სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც წელიწადში 2-ჯერ ეკუთვნის ტექნიკური შემოწმების გავლა, მაგრამ ტექინსპექტირების ორგანოში ერთხელაც არ არის მისული. ჩემი ვარაუდით, ისინი კუსტარულად დამზადებული, გადაკეთებული სატვირთოები ან გაუმართავი მიკროავტობუსები არიან და შეგნებულად არ გადიან ინსპექტირებას. ჩვენ ახლა ვდგავართ ფაქტის წინაშე, რომ მთლიანად, თუ რამე შეიძლება ჩრდილოვანი ეკონომიკა იყოს, მგზავრთა გადაყვანის სფეროა და მისი მოქცევა გონივრულ ჩარჩოში აუცილებელია“, — ამბობს „კომერსანტთან“ დავით მესხიშვილი.

შეგახსენებთ, რომ საქალაქთაშორისო ტრანსპორტის რეფორმაზე რამდენიმე დღის წინ ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ ისაუბრა.

„გვაქვს ავტოსადგურების მოწესრიგების გეგმა, აქ საუბარი არის არა მარტო ავტოსადგურებზე, არამედ მთლიანად საქალაქთაშორისო გადაყვანების რეფორმაზე. ამაზე ეკონომიკური გუნდი ვსაუბრობთ და მალე დავაანონსებთ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს“, — განაცხადა მინისტრმა ისე, რომ დეტალები არ დაუკონკრეტებია და არც ის, როდის იქნება მზად დოკუმენტი, რომელიც 10 წლის წინ დაიდო თაროზე.

რეფორმა შეეხება როგორც ავტოსადგურებს, ასევე გადამყვან კომპანიებსაც. როგორც ცნობილია, დაწესდება ახალი სტანდარტები, თუ როგორი უნდა იყოს ავტოსადგურების იერსახე და ავტოგადამყვანებში მომსახურების დონე.

მარი ჩიტაია

სანთელი

კოლხი მეცხოვნე

გოგი შონიას ხსოვნას



კიდევ ერთი დიდებული ქართველის გარდაცვალებამ შეძრა საქართველოს ძირძველი კუთხე სამეგრელო და მასთან ერთად საქართველო. ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა უსპეტაკესი ადამიანის, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ბაირახტარი, შესანიშნავი პოეტის, პუტჩის რეჟიმის დროს რეპრესირებული პატრიოტის, უკეთილშობილესი ადამიანის, დიდი ოჯახის უფროსისა და მართლაც კოლორიტი პიროვნების გოგი შონიას სულმა.

ბევრი იცნობდა მას, როგორც სამშობლოს სიყვარულში თავდადებულს, მშობლიური კუთხის ტრადიციების გამაგრძელებელსა და შესანიშნავ პოეტს. მისი მეგრულ-ქართული ლექსები, მის მიერ თარგმნილი უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები, ძველკოლხური თქმულებები მართლაც დიდი პოეტების შემოქმედების თანასწორს ხდიდა.

მუდამ მოღიმარი, დიდი იუმორის მქონე პიროვნება დიდ დარდსა და ტკივილს მალავდა, სხვას არ უზიარებდა და სწორედ ეს ხდიდა გამორჩეულს ბევრთაგან. ვერ მოესწრო საზოგადოება „ჭკადუაშის“ მიერ შეგროვილ მის ლექსებსა და პუბლიცისტურ წერილებზე შექმნილი წიგნის გამოცემას, რომელსაც მისი მეგობრები უმზადებდნენ.

დააკლდა სრულიად საქართველოს, მშობლიურ ზუგდიდს, ჭკადუაშს, დააკლდა საყვარელ ოჯახს, დიდ სამეგობროსა და სანათესაოს. მისი სახით კიდევ ერთი კოლხი მეცხოვნე დავკარგეთ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ უპატიოსნესი კაცის სული.

ნოდარ ჭითანავა, ოთარ ჭითანავა, გიორგი ყუფუნია, ალენ მიურატი, რაულ ჩილაჩავა, ლამზირა ფირცხალავა, ლალი ანთია, ზურაბ კვარაცხელია, ლერი ჭითანავა, ზაურ ჯინჯოლავა, ლაშა გვასალია, შუკო ჯიძია, ედემ კვირტია, იუზა ყუფუნია, გიორგი ჭითანავა, ბადრი გულორდავა, ზაურ ნაჭყებია, კოზა ანთია, კონსტანტინე მანია, კახა ჭითანავა, დავით ჭითანავა, ოთო ჭითანავა.

ძრწოდეთ, გაქსუებულო ქართველებო,

„ანტიკორუფციული მოძრაობა“ გიტევთ!

თბილისში დაფუძნდა საზოგადოებრივი გაერთიანება „ანტიკორუფციული მოძრაობა“, რომელიც აერთიანებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს და სამოქალაქო აქტივისტებს.

როგორც მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ვასო ურუშაძემ განაცხადა:

„ჩვენი მიზანია, სამოქალაქო აქტივიზმის გზით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, კორუფციული ფაქტების გამოვლენა, კორუმპირებული ჩინოვნიკების მხილება და დაზარალებული ადამიანებისა და ბიზნესსუბიექტების ადვოკატირება. ჩვენი ამოცანაა, მოქალაქეების აქტიური ჩართულობით მოვახდინოთ საზოგადოებრივი ზეწოლა სამართალდამცავ უწყებებზე, რათა ვაიძულოთ ისინი რეაგირება მოახდინონ კორუფციულ ფაქტებზე და საქმეები საფუძვლიანად გამოიძიონ. ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება, თუ რა კავშირი აქვს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კორუფციას, მათი ცხოვრების გაუარესებულ მაჩვენებლებთან, სიღარიბესა და ეკონომიკურ პრობლემებთან. სწორედ ამ გზით ვეცდებით ფართო საზოგადოების დარაზმვას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

ანტიკორუფციული მოძრაობის მასშტაბებზე და სამომავლო გეგმაზე ისაუბრა ორგანიზაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ლაშა ფარულავამ, რომელმაც განაცხადა რომ ხელისუფლების მიერ წახალისებული სისტემური და პოლიტიკური კორუფცია, ნეპოტიზმი და მსხვილ ბიზნესში არსებული ოლიგოპოლია, სახელმწიფოს წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევაა. აღნიშნულმა ფაქტიურად ჩამოშალა ინსტიტუციები და გააღრმავა საზოგადოებაში ნიჰილიზმი პოლიტიკური პროცესის მიმართ, რაც არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილების შემაფერხებელი და ავტორიტარიზმის გაძლიერების ძირითადი წყაროა.

ქვეყანაში არ არსებობს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი და ინსტიტუცია, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს „ქართული ოცნების“ კორუმპირებულ კლანს, სრულფასოვნად და ობიექტურად გამოიძიებს კორუფციულ ფაქტებს და შეაკავებს მზარდ ავტორიტარიზმს.

ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ანტიკორუფციულმა მოძრაობამ იმუშაოს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, სადაც კორუფციული ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, შევქმნით ლოკალურ ჯგუფებს და არ მივცემთ მოსვენებას ქართული ოცნების მიერ შექმნილ არაფორმალურ კორუმპირებულ დაჯგუფებას, ქვეყანას წაართვას დემოკრატიის განვითარების პერსპექტივა“.

ანტიკორუფციულ მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელია სამოქალაქო აქტივისტი ირაკლი ფავლენიშვილი, მოძრაობას ასევე უერთდება და სრულ მხარდაჭერას უცხადებს პოლიტიკოსი ლევან ხაბეიშვილი. საზოგადოებრივი მოძრაობის ოფისი მდებარეობს თბილისში, ფერისცვალების ქუჩა №20/22-ში (მეტროსადგური ავლაბრის მოპირდაპირე მხარე).

გურიაში აფხაზეთის ომის გმირის საფლავი გაძარცვეს!

ლანჩხუთში, აგარაკის დასახლებაში, აფხაზეთის ომის გმირის, ვაჟა თოდუას, საფლავი გაძარცვეს. როგორც ირკვევა, საფლავიდან ბიუსტია მოპარული.

ლანჩხუთის საკრებულოს წევრის დარეჯან ბურჭულაძის ინფორმაციით, ამის შესახებ ინფორმაცია მას გარდაცვლილი გმირის დედამ მიაწოდა.

მოქალაქე პოლიციელი დააკავეს

საქართველოს პროკურატურამ ქალაქ ზუგდიდში ქალზე განხორციელებული ძალადობის ფაქტზე პოლიციის თანამშრომელი გ.ბ. დააკავა. პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 25 იანვარს ქ. ზუგდიდში, პოლიციის თანამშრომელმა გ.ბ.-მ პირად საკითხზე წარმოშობილი კონფლიქტის დროს მეგობარ ქალს მ.თ.-ს სახეში ხელი რამდენჯერმე დაარტყა.

პროკურატურამ გ.ბ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია) გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო 26 იანვარს დააკავა.

100 კაციდან 30 ვერ გააკეთებს ბავშვს?! გიორგი ფხაკაძე ამტკიცებს, რომ კორონა სპერმას „აფუჭებს“...

„100 კაციდან 30 ვერ გააკეთებს ბავშვს,“ — აცხადებს ჯანდაცვის ექსპერტი გიორგი ფხაკაძე განმარტავს ის. რატომ არ უნდა გაიგივდეს კოვიდი და გრიპი ერთმანეთთან. კვლევებზე დაყრდნობით, მოსახლეობას კიდევ ერთხელ აფრთხილებს, რომ ვირუსი შვილოსნობას მკვეთრად აფერხებს და ინფიცირებისგან მაქსიმალურად უნდა დავიცვათ თავები.



„კოვიდი არ არის გრიპი, გრიპის შემდეგ სპერმის ხარისხი არ ფუჭდება, ეს არის კონკრეტული კვლევები, 100 კაციდან 30 ვერ გააკეთებს ბავშვს, 70 გააკეთებს. დაიცავით თავი კოვიდისგან, როგორც შეგიძლიათ“, — აცხადებს ფხაკაძე.

„რესპუბლიკა გურია“ – ოზურგეთში

29, 30 იანვარს 18:00 საათზე, ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართება რეჟისორ ნიკოლოზ საბაშვილის სპექტაკლის „რესპუბლიკა გურია“ პრემიერა. სპექტაკლი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსის „კულტურის სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა“ გამარჯვებული პროექტია და არის ინოვაციური წარმოდგენა თხრობის განსხვავებული, არავერბალური ფორმით, საინტერესო და შთამბეჭდავი მუსიკალური გაფორმებით.

სიუჟეტი ეყრდნობა საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ დოკუმენტურ მასალებს – გურიის მხვნელ-მთესველთა სოციალ-დემოკრატიულ რესპუბლიკას. წარმოდგენაში გაცოცხლებულია პატარა ქალაქი, ოზურგეთი, რომელიც თავს ითავისუფლებს და შიშის ზარს სცემს უზარმაზარ რუსეთის იმპერიას; ქალაქი, სადაც ევროპაზე გაცილებით ადრე აღიარეს ქალთა უფლებები და განათლების პრიორიტეტი. გურიას, პოლიციური რუსეთის პატარა ნაწილს, რუსეთის იმპერიის მთავრობა ვეღარ განაგებდა. გურიის რესპუბლიკამ რამდენიმე თვე დამოუკიდებლად იარსება.

სპექტაკლში ხაზგასმულია უბრალო ადამიანის როლი თავისუფლებისათვის, ქვეყნისათვის ბრძოლაში. მნიშვნელოვანია, რომ მთავარი პერსონაჟები არიან არა ისტორიულად ცნობილი ფიგურები, არამედ უბრალო გლეხები, რომლებიც იბრძვიან ადამიანური ღირსებების დასაცავად. სპექტაკლში მონაწილეობს ოზურგეთის თეატრის მთელი დასი. რეჟისორის ასისტენტია ეკა ანთია, წამყვანი – ბონდო ჩხარტიშვილი, ლოტბარები – მამია რუსიძე და ლედი კვაჭანტირაძე.

არაბულ ფილმს ეგვიპტეში სკანდალი მოჰყვა

Netflix-ის პირველმა არაბულმა ფილმმა, გამოსვლიდან რამდენიმე დღეში, ეგვიპტელთა იმდენად მწვავე რეაქცია გამოიწვია, რომ კრიტიკოსები პლატფორმის აკრძალვას ითხოვენ. ფილმი იტალიური ფილმის – „იდეალური უცნობების“ არაბული ვერსიაა. მასში მონაწილეობენ ცნობილი მსახიობები ლიბანიდან, ეგვიპტიდან და იორდანიიდან.

ფილმი მოგვითხრობს მეგობრების ჯგუფზე, რომელიც ვახშამზე იკრიბება. იმისთვის, რომ ღამე სახალისოდ გაატარონ, შეკრებილები გადაწყვეტენ, ყველა მიღებული ტექსტური შეტყობინება თუ სატელეფონო ზარი მეგობრებსაც გაუზიარონ. მოვლენების განვითარებასთან ერთად, თამაში მეგობრების შოკისმომგვრელ საიდუმლოებებს ავლენს – მეუღლის ღალატს, ქორწინებამდე სექსს, ჰომოსექსუალობასა და მრავალ ისეთ ქმედებას, რაც ეგვიპტეში ტაბუდადებულია. ფილმი 20 იანვარს გამოვიდა.

103 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“ გაღასარჩენია!

რეკლამა განათავსეთ, იყიდეთ, გამოიწერეთ, ეს ყოველდღიური საუკუნოვანი გამოცემა!

ხელმოწერისთვის მიმართეთ:
„ელვა.ჯი“, www.elva.ge; ტელ: 23822673; 2 382674; 577991651; 595 382626; „პლანეტა ფორტეს“ – 2 92 18 59; 599 947 311; 579 79 99 08;

მოგვმართეთ რედაქციაში, ვაჟა ფშაველას 48
ტელ: 599 797 679; 599 36 00 35;
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru. sakresp@top.ge

შვიდ დოლარად ნაყიდი სკამით გამდიდრდა

ინგლისში მეორადი საოჯახო ნივთების მაღაზიაში, ქალმა 5.22 გირვანქა სტერლინგად ($7) იყიდა სკამი, რომელიც, მოგვიანებით, აუქციონზე 21,000 დოლარად გაყიდა.

„როდესაც სკამი სახლში მივიტანე, კარგად დავათვალიერე და ვიფიქრე, რომ ის ძალიან საინტერესოდ გამოიყურებოდა. ელექტრონული ფოსტით მივწერე V&A მუზეუმს, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. შემდეგ, მივმართე დიზაინის სპეციალისტ ჯონ ბლექს, რომელმაც მყისიერად მიპასუხა“, – ამბობს ქალი, რომლის ვინაობასაც მედია არ ასაჯაროებს. სპეციალისტმა დაადგინა, რომ სკამი 1902 წელს ავსტრიელმა არტისტმა კოლომან მოზერმა შექმნა. ხისა და ნაქსოვი თოკებით დამზადებული სკამი აუქციონზე 21,874 დოლარად გაიყიდა.

სოკოსგან დამზადებული კუბოები

ნიდერლანდებში სოკოში შემავალი მიცელიუმისგან დამზადებული კუბოები შექმნეს, რომლებშიც ადამიანის ცხედარი კომპოსტად გარდაიქმნება. იდეის ავტორი დელფრის ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერი ბობ ჰენდრიქსია.

კუბოს შექმნის ტექნოლოგია ხავსის მოკრეფას, სოკოდან მიცელიუმის მიღებასა და მიღებულ მასაში მერქნის ნაფოტების დამატებას ითვალისწინებს. მასა 7 დღეში მყარდება, დასველების შემდეგ კი კვლავ აქტიურდება. ჰენდრიქსის თქმით, ეს მასალა სრულფასოვანი ორგანიზმია. კუბო ხავსით არის მოფენილი, რომელშიც ნიადაგში მობინადრე არსებებია ჩასმული, რაც გახრწნის პროცესს კიდე უფრო აჩქარებს. ასეთ კუბოში მოთავსებული ცხედარი 2-3 წელიწადში გაიხრწნება, კუბო კი 30-45 დღეში. შედეგად, მიწაში მოხვედრილი ნაწილაკები ნიადაგს გაამდიდრებს.

გასულ შაბათს ასეთ კუბოში პირველი ადამიანი – 82 წლის ქალი დაკრძალეს. მეცნიერმა უკვე გააფორმა კონტრაქტი ერთ-ერთ დამკრძალავ ბიუროსთან და იმედი აქვს, რომ მისი წამოწყება წარმატებული იქნება.

ოლიმპიური თამაშები – ხელოვნური თოვლით

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელსაც 4 თებერვლიდან პეკინი უმასპინძლებს, თითქმის 100%-ით, ხელოვნური თოვლის გამოყენებით ჩატარდება, რაც, ოლიმპიადის ისტორიაში, პირველი შემთხვევაა..

სპორტული ღონისძიების თოვლით უზრუნველსაყოფად და სათხილამურო ფერდების დასაფარად, 100-ზე მეტ გენერატორსა და თოვლის შემქმნელ 300 აპარატს გამოიყენებენ.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ ხელოვნური თოვლის შექმნისას, მხოლოდ წყალი და ენერგია არ გამოიყენება, დნობის შესანელებლად, საჭიროა ქიმიური ნივთიერებებიც, რაც, თოვლთან შედარებით, საფარს არაპროგნოზირებადსა და პოტენციურად საშიშს ხდის. მეცნიერები კლიმატის ცვლილებაზე მიანიშნებენ და აღნიშნავენ, რომ 1924 წლის შემდეგ, ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი 21 ადგილიდან, 2050 წლისთვის, მხოლოდ 10-გან იარსებებს „შესაბამისი კლიმატი“ და თოვლი – ბუნებრივი პირობებისთვის.

ბობ დილანის „საეტაპო შეთანხმება“

ხმის ჩამწერი სტუდიის, Sony Music-ის ინფორმაციით, ბობ დილანთან „საეტაპო შეთანხმება“ დადეს, რომლის მიხედვითაც, კომპანიამ ამერიკელი მომღერლისა და სიმღერების ავტორის ყველა კატალოგი შეიძინა. გარიგება მოიცავს დილანის ნამუშევრებს, რომლებიც 60 წლის

განმავლობაში შექმნა – დაწყებული სადებიუტო ალბომით და დასრულებული 2020 წელს გამოცემული Rough and Rowdy Ways-ით. Sony Music-ი არ ასახელებს, რა თანხა გადაიხადა გარიგების საფასურად, თუმცა, Billboard-ის ინფორმაციით, ჩანაწერების ღირებულება $200 მილიონამდეა.

ბობ დილანსა და Sony Music-ს მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებთ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 31 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0696; ევრო - 3.4625;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1464;
100 რუბლი - 3.8759; თურქული ლირა - 0.2270;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8052;
1000 სომხური დრამი - 6.3685.

ამინდი 28 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-5,	დღე	+6
მთიანი რაიონები -	ღამე	-11,	დღე	+2
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+7
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+2
თბილისი:	ღამე	-1,	დღე	+5

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge